

ახალი ბანათლები

22 - 28 სექტემბერი

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№27 (741) ბაზრობის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

თსუ რექტორის არჩევნების მოლოდინში

23 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ახალი რექტორი ეყოლება. სტუდენტებში კი წინასაარჩევნო განწყობა ნელ-ნელა პროტესტში გადაიზარდა, გიორგი შარვაშიძის კანდიდატად დარეგისტრირებამ „აუდიტორია 115-ის“ წევრების სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია. კანდიდატით არც სტუდენტური თვითმმართველობის წევრები არიან კმაყოფილი, რადგან ერთნიც და მეორენიც მიიჩნევენ, რომ ამით უნივერსიტეტის ავტონომიას სერიოზული საფრთხე ემუქრება. მინისტრის ყოფილი მოადგილისადმი პროტესტს სტუდენტებში, პირველ რიგში, უნდობლობა იწვევს. როგორც „აუდიტორია 115“-ის წევრები ამბობენ შარვაშიძის კანდიდატურას ლობირებას სამთავრობო პარტიაში უწევენ.

„სამწუხაროდ, ეს არჩევნები არ იძნეა გამონაკლისი და ის იხვევს კარგად ნაცნობი სტენდარტით წარმართება. სახეზე გვაქვს უნივერსიტეტის შიდა კლანებასა და მთავრობას შორის კალაუფლების გადასაღწევის კიდევ ერთი ეტაპი.“

გახდა თუ არა საზოგადოებისთვის ცნობილი, რომ არჩევნებში მონაწილეობას განათლების მინისტრის ყოფილი მოადგილე გია შარვაშიძე მიიღებდა, ნათელი იყო, რომ მას ურთიერთობის ბარკვევა უნივერსიტეტის შიდა კლანებთან მოუწევდა. ამავდროულად, საიდუმლო არაქვითვის ყოფილა, რომ შარვაშიძის კანდიდატურას ლობირებას სამთავრობო პარტიაში უწევდა.

შარვაშიძის წინააღმდეგ თავიდანვე ხმა აიგაღწეა უნივერსიტეტის კლანების ნაკლებად გავლენიანმა სახეობამ და თვითმმართველობამ. მთავარმა ფიგურებამ დაუბრუნეს შენარჩუნება არჩივს.

კლანებთან დაკავშირებული ზოგიერთი პერსონა და თვითმმართველობის წევრები საუბრობენ, რომ ისინი, თითქმის, იცავენ უნივერსიტეტის ავტონომიას. ამ მიზანით ხსნიან რექტორობის კონკრეტული კანდიდატის მხარდაჭერას ან უნდობლობას. მსგავსი ილიქმელოა და გაუნათლებლობა ამ რეალურად უზრუნველყოფს გამაღიზიანებელი“ (ცოტნე ცხველიანი, „ავტონომია და იზოლაცია“).



ბანათლები

20 სექტემბერს, არჩევნებამდე სამი დღით ადრე, რექტორობის კანდიდატთან გიორგი შარვაშიძესთან სტუდენტებმა გამართეს შეხვედრა, რომელიც ხმაურისა და კამათის ფონზე წარიმართა. სტუდენტებმა კიდევ ერთხელ შეახსენეს რექტორობის კანდიდატს დაპირებები, რომელიც მან მინისტრის მოადგილედ ყოფნის დროს არ შეასრულა და დაინტერესდნენ, რატომ არ განახორციელა, მაგალითად, თვითმმართველობის რეფორმა. მათთვის მნიშვნელოვანი იყო იმის მოსმენაც, თუ რა ნაბიჯების გადადგმას აპირებს შარვაშიძე იმ შემთხვევაში, თუ კი მას აკადემიური საბჭო რექტორად აირჩევს, მაგრამ, როგორც სტუდენტები აღნიშნავენ, კანდიდატის მხრიდან მხოლოდ და მხოლოდ თავის მართლება და პასუხებზე თავის არიდება მიიღეს.

სტუდენტების ნაწილთან ერთად, გიორგი შარვაშიძეს რექტორობის ერთ-ერთი კან-

დიდატიც დაუპირისპირდა. ქალბატონმა ცირა ბარამიძემ განაცხადა: „იმ შემთხვევაში, თუკი აკადემიური საბჭო გიორგი შარვაშიძეს აირჩევს, ამით დაადასტურებს, რომ უნივერსიტეტი გარე ძალებიდან იმართება. არჩევნებში მისი მონაწილეობა ჩემთვის რექტორის დანიშვნაა და არა არჩევნები.“

ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს თვითონ გიორგი შარვაშიძე: „ეს გემოვნების საკითხია, ყველას არ მოეწონება. ზენოლა ნამდვილად არის, ოღონდ ეს არ მოდის ოფიციალიდან. ძალიან კარგად მახსოვს ის დრო, როდესაც მართლაც პრესინგი მიდიოდა აკადემიურ საბჭოზე“.

სტუდენტების ნაწილი ბატონ გიორგი შარვაშიძეს მოუწოდებს, მოხსნას კანდიდატურა.

მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2016



გვერდი 2

როგორ დავძლიოთ არაკროფესიონალიზმი ტოტალური რეპეტიტორობის ფონზე

სტუმარი

ბანათლების პოლიტიკის,
დაგეგმვისა და მართვის
საერთაშორისო
ინსტიტუტის
ალმასრულებელი
დირექტორი
რევაზ აფხაზაძე



„მასწავლებლის რეპუტაციას ვერც გამოქვეყნებული რეიტინგები და გამოცდაზე ჩაჭრილთა პროცენტები, ვერც ჩემნაირი ადამიანების საუბარი ვერ შელახავს, მათ პრესტიჟს, ყველაზე მეტად ჩრდილს თვითონ ის მასწავლებლები აყენებენ, რომლებიც თავის საქმეს კარგად ვერ აკეთებენ. არაკვალიფიციური მასწავლებლის შესახებ სკოლიდან ამბის გამომტანი ნახევარი მილიონი მოსწავლეა, ჩემნაირი ადამიანი კი რამდენიმეა. ამიტომ, თვითონ პროფესიონალმა მასწავლებლებმა უნდა ამოიღონ ხმა, მოითხოვონ არაკვალიფიციონალთა კვალიფიკაციის ამაღლება და ჩემზე კი არ უნდა გაბრაზდნენ, არამედ სწორედ იმ კოლეგებზე, რომლებიც მათ ჩრდილს აყენებენ.“

გვერდი 4





კომპანია-ს მშვიდობის კორპუსი საქართველოში ინყებს სკოლების განახლების მიზნით 2017-2019 წლებში მოხალისეთა თანამშრომლობისთვის

მშვიდობის კორპუსის მოხალისეები თქვენსავით წვლიან წარმატებით ასორცი-
ელავენ განათლების პროექტს საქართველოს რეგიონებში. კომპანიაში შერჩეუ-
ლი სკოლები ამერიკელ ინგლისური ენის მასწავლებლებთან იმუშავებენ, 2017-
2019 სასწავლო წლებში, ინგლისური ენის ცოდნის დონისა და სასწავლო პრაქტი-
კის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

კომპანიაში მონაწილეობა შეუძლიათ საჯარო სკოლებს შემდეგ რეგიონებში:
კახეთი (ახმეტის ჩრდილოეთით მდებარე სოფლების გარდა), მცხეთა-მთიანეთი
(სტაფანწინის გარდა), ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, აჭა-
რა, გურია, იმერეთი, სამეგრელო (დასავლეთის გარდა), რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო
სვანეთი. კომპანიაში მონაწილეობა არ შეუძლიათ იმ სოფლებსა და ქალაქების
სკოლებს, რომლებიც მდებარეობენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინი-
სტრაციული საზღვრის ადგილობრივი ადმინისტრაციის ზონებში.

თუ თქვენი სკოლა მდებარეობს რამდენიმე რეგიონიდან ერთ-ერთში, ინ-
გლისური ენის მინიმალური საათობრივი გადამდგენი 24 საათს და დინამი-
კურული ხარისხით მოხალისეთა თანამშრომლობით 2017-2019 აკადემიურ წლებ-
ში, აპლიკაციის მომთხოვნი ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრში
ან მოძიებით ჩვენს ვებგვერდზე: <https://www.peacecorps.gov/georgia/ask-for-a-volunteer/>, ში-
დასეთ და მოგვანდობთ მშვიდობის კორპუსის ოფისში მისამართზე: ვაჟა-ფშა-
ველას გამზირი 29^ა, თბილისი, 0160 ან გამოგვიზავანეთ ელექტრონული ფოსტით
მისამართზე: education@ge.peacecorps.gov

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

- ასამთ სინარულია
განათლების პროგრამის ხელმძღვანელი
ტელ: 595906444;
- თეო ნაფარიძე
განათლების პროგრამის ხელმძღვანელი
ტელ: 591969881;
- ია გელაშვილი
განათლების პროგრამის ხელმძღვანელი
ტელ: 595950406;
- ნინო ფიროსმანიშვილი
პროგრამის და ტრენინგების სპეციალისტი
ტელ: 595027979.

მიაღწევთ თვალი ჩვენს ფაილს გვერდს:
Peace Corps Georgia

მოხალისის მოთხოვნის შევსებული ფორმის ჩაბარების ბოლო ვადაა 20 სექტემბერი, 2016 წელი

ინფორმაცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

მეცნიერებისა და ინოვაციების თბილისის ფესტივალი 2016

17-25 სექტემბერი

პირველად საქართველოში, თბილისში, მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი ტარდება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული ფესტივალი 17 სექტემბერს დაიწყო და 25 სექტემბრის ჩათვლით გაგრძელდება, ყოველი დღე დატვირთული იქნება განსხვავებული ღონისძიებებით. გაიმართება გამოფენები, საჯარო ლექციები, კონფერენციები, ტრენინგები, ვორკშოპები, ღია კარის დღეები, უახლესი სამეცნიერო გამოგონებებისა და პროექტების პრეზენტაციები, გასვლითი ღონისძიებები და სხვ.

ალექსანდრე ჯეჯელავა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: „დღეს შეგიძლია ვი-
ამაყოთ იმით, რომ სულ უფრო მეტ ადამიანს უნდა და აინტერესებს მეცნიერება, ასევე იმით, რომ ბოლო წლების განმავლობაში მეც-
ნიერების დაფინანსება საქართველოში რამ-
დენჯერმე გაიზარდა. დღევანდელი დღის და ამ კვირის გმირები არიან სწორედ მეცნიერები.“

ქალბატონი გვეამაყება და გვიხარია, თბილისში მეცნიერების ფესტივალი რომ ტარდება. ამ შა-
ბათ-კვირას ვინყებთ ექსპოზიციას, მთელი კვირის განმავლობაში, სტუდენტებისთვის და მოსწავლეებისთვის, ღონისძიებები ყველა მო-
წინავე უნივერსიტეტში გაიმართება და შემდეგ შაბათ-კვირას დაავადებულნი ვაქცია პარკში კონცერტითა და რამდენიმე ღონისძიებით.

კაცობრიობას ცნობისმოყვარეობა ამოძრავებს წინ და ამ ცნობისმოყვარეობაში, რა თქმა უნდა, დიდი წილია ახალგაზრდების, ვისაც ჩვენი სამყარო წინ მიჰყავთ. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, რომ მეცნიერება მხოლოდ ასაკოვანი დოქტორების საქმე არ არის, მეცნიერება ყოველი ჩვენგანის საქმეა –

უნდა გვაინტერესებდეს პასუხები ყოველდღიურ შეკითხვებზე ნებისმიერი მიმართულებიდან. ამ ერთ კვირაში თბილისში შეგვირბოვთ ისეთი მეცნიერები, რომლებმაც, ფაქტობრივად, უკანასკნელი სიტყვა თქვეს თავ-თავიანთი დარგებში. აქ წარმოდგენილია ცერნი, ასევე, ჩვენი მონივრე მეცნიერები და ინსტიტუტები, სტუმრად არიან ჩამოსული მეცნიერები იაპონიიდან, გერმანიიდან და სხვა ქვეყნებიდან. შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში ვინც არის მონივრე მეცნიერი, ყველა აქ არის.“

მიხეილ გორგაძე, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი: „დღეს ძალიან მნიშვნელოვან ტრადიციას ეყრება საფუძველი – თბილისი, მსოფლიოს სხვა ნაწილებს ქალაქებთან ერთად, მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალს მასპინძლობს. ვფიქრობ, დღეს აღარავის ეპარება ეჭვი, რომ განათლება მეცნიერების, ინოვაციის, ახლებური მიდგომების მთავარი მომდრავებელი ძალაა. ჩვენ ვსაუბრობთ განათლების ახალ შინაარსზე, ახალი ტექნოლოგიების ფორმირებაზე, კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე ახალგაზრდებში. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ყველა ორგანიზატორს, მონაწილეს კი წარმატებები ვუსურვო.“

დავით ლორთქიფანიძე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორი: „ყველას გულსაც ამ შესანიშნავ დღეს. მეცნიერების ფესტივალი საქართველოში ყველა ჩვენგანისთვის. მეცნიერება მომართულია მომავლისკენ და ის, რომ თბილისში უკვე ტრადიციად იქცა მეცნიერების ფესტივალი, იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა სერიოზულად ფიქრობს მომავალზე, მეცნიერების განვითარებაზე და იმაზე, რომ მეცნიერება გახდეს ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი, რაც საშუალებას მოგვცემს, ვიყოთ ძალიან წარმატებულები.“

კვირულში მონაწილეობს ცერნის ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრი, მოძრავი გამოფენით „ცერნი დღეს“ და „LHC ინტერაქტიული გვირაბი“, რაც დამთვალიერებლებს წარმოგვანს შეუქმნის მსოფლიო მნიშვნელობის ცენტრის საქმიანობასა და მის ბოლო აღმოჩენებზე.

„მეცნიერებისა და ინოვაციების თბილისის ფესტივალი 2016“ საქართველოსა და კავკასიის რეგიონში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტრადიციას უყრის საფუძველს: თბილისი მსოფლიოს იმ ნაწილს ქალაქებს შეუერთდება, რომელთაც ანალოგიური ფესტივალების ჩატარების ხანგრძლივი გამოცდილება აქვთ. ფესტივალის მიზანია, ერთი მხრივ, ქვეყნის სამეცნიერო და ინოვაციური პოტენციალის წარმოჩენა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება, მეორე მხრივ, სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების პოპულარიზაცია; მეცნიერებაში ინოვაციური მიდგომების ნახალისება და დანერგვა, მკვლევართა მოტივაციის გაზრდა, ახალგაზრდების, სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეების დაინტერესება სამეცნიერო კვლევებითა და ინოვაციებით. ფესტივალი ხელს შეუწყობს ფართო საზოგადოებისათვის ქართველ და უცხო-

ელ მკვლევართა მიღწევების გაცნობას. ამასთან, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროების დაახლოებას.

ფესტივალში მონაწილეობენ საქართველოს სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტები, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემია, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, მაიკროსოფტი-საქართველო, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველო, თანამედროვე ხელოვნების ცენტრი – თბილისი, სხვადასხვა კერძო კომპანიები და მეცნიერების სფეროს უცხოელი წარმომადგენლები.

მარიამ ქეჭურია, შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის წარმომადგენელი: „ინოვაციებისა და მეცნიერების თბილისის ფესტივალზე, ცხადია, შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული ფონდიც არის წარმოდგენილი თავისი პროგრამებით და იმ შესაძლებლობებით, რომელსაც ფონდი საქართველოს მეცნიერებს სთავაზობს. დღევანდელ გამოფენაზე მოზრანულ და მთავალიერებელს ვუხსნიდით, თუ სად შეიძლება ჩვენი პროგრამებისა და დაფინანსების შესახებ ინფორმაციის მოძიება, ასევე, სხვადასხვა კონკურსებისა და ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის კვლევის (ჰორიზონტი 2020) შესახებაც. ასე რომ, ჩვენთან წარმოდგენილია როგორც ეროვნული პროგრამები, ასევე, საერთაშორისო.“

თამარ ჩოგოვაძე, თსუ-ს სტუდენტი: „ჩვენ ბავშვებს სახალისო არქეოლოგიას ვთავაზობთ. მათთვის ეს არის პირველი შეხება ისტორიასთან და ძალიან კარგი აქციაა იმისათვის, რომ მათ წარმოგვან შეექმნათ, რა არის არქეოლოგია. ჩვენი აქტივობა სახალისოც არის, საინტერესოც და შემეცნიერებელიც ბავშვებისთვის, იმიტომ რომ, უშუალო შეხება აქვთ არტეფაქტებთან, პატარაობიდანვე ეჩვევიან საქართველოს სიყვარულს.“

ანი შალამბერიძე, სან-დიეგოს უნივერსიტეტის სტუდენტი: „სან-დიეგოს უნივერსიტეტის სტუდენტებმა სამეცნიერო ფესტივალზე რამდენიმე ექსპერიმენტი მოვიტანეთ, რომ ვაჩვენოთ ბავშვებს. ძალიან სახალისო ექსპერიმენტებია ფერების ცვლაზე, ინდიკატორებზე, ჟანგვა-აღდგენით რეაქციაზე. მათაც ვატარებინებთ ცდებს. აბიტურიენტებიც მოდიან, მათ ჩვენს უნივერსიტეტზე ვესაუბრებით და ვაცნობთ, რას და როგორ ვაკეთებთ.“

ფესტივალის ლოგოზე გამოსახული ქართველი ხელოვნის, ბაჩა ხოფერიას (Dr. Love) ურბანული ხელოვნების ნიმუში – „ზეზა და მზია იღებენ სელფს“, რომელიც შთაგონებულია დმანისში აღმოჩენილი ჰომონინის რეკონსტრუქციით და უხსოვარი დროიდან დღემდე მეცნიერებისა და ინოვაციების განვითარების სიმბოლოურ გზას განასახიერებს. „ზეზა და მზია იღებენ სელფს“ გვახსენებს, რომ მეცნიერება და ინოვაცია ჩვენი ყოველდღიური, პრაქტიკული ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

თსუ რექტორის არჩევნების მოლოდინში

პირველი გვერდიდან

გიორგი სოფრომაძე, „აუდიტორია 115“: „გიორგი შერვაშიძის მიმართ, ბუნებრივია, გვაქვს პრეტენზიები და ვაპროტესტებთ მის მონაწილეობას არჩევნებში, რადგან მაშინაც, გაზაფხულზე და ახლაც ჩვენ უნივერსიტეტის ავტონომიურობას ვიცავთ. მას შემდეგ, რაც ჩვენ გვექონდა კომუნიკაცია სამინისტროსთან, უშუალოდ გიორგი შერვაშიძისთან, რეალურად არც ერთი დაპირება არ შესრულდა. რამდენიმე დღის წინ, ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში, გიორგი შერვაშიძემ განაცხადა, რომ, თითქოს, ბოლო დროს მოლაპარაკებებში აღარ მონაწილეობდა. ეს არ არის მართალი. სწორედ გიორგი შერვაშიძე იღებდა მონაწილეობას იმ სამხმრივ შეხვედრებში, რომლებიც, პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, გაზაფხულზე მიმდინარეობდა. ჩვენი მოთხოვნები თვითმმართველობის გაუქმებას ეხებოდა, ვითხოვდით უნივერსიტეტის დაფინანსების გაზრდას, უმაღლეს სასწავლებელში ვარე რეფერირების სისტემის დანერგვას და საუნივერსიტეტო სივრცის შექმნას. არც ერთი მოთხოვნა არ შესრულებულა.“

ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი წინააღმდეგობა – მიზეზი, რის გამოც ჩვენ არ ვუჭერთ მხარს გიორგი შერვაშიძის კანდიდატურას. ბუნებრივია, ამ ყველაფრის შემდეგ, მის მიმართ ნდობა არ გვაქვს და არ გვჯერა, რომ რაიმე ცვლილებებს გაატარებს.

იყო საუბარი იმაზეც, რომ სახელმწიფოს მხრიდან წამოსული კანდიდატი შიდა კლანების წარმომადგენელს დაუპირისპირდებოდა. ამიტომ ჩვენ ვამბობდით, რომ რექტორის მოვალეობის შემსრულებელს არ უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღო არჩევნებში და გამხდარიყო შემდგომში რექტორი. პარალელურ რეჟიმში გვიწევს შიდა კლანებთან ბრძოლა.

რა სამსუხაროა, რომ ვსაუბრობთ ავტონომიაზე, რომელიც რეალურად უნივერსიტეტს არასოდეს ჰქონია. ავტონომია მაშინ შეგვიძლია განვიხილოთ, როცა უნივერსიტეტი მეცნიერებაზე დაფუძნებული და როცა დასაცავი მართლა არსებობს რალაც. რეალურად, დღეს უნივერსიტეტში დასაცავს, სამსუხაროდ, ვერ აღმოვაჩენთ – ვერც მეცნიერება, ვერც კვლევითი პროექტები, ვერც თანასწორი ურთიერთობები და ვერც ვარემო, რომელსაც უნივერსიტეტი გულისხმობს. ბუნებრივია, ვიდაც შეიძლება შემდეგადაც, რომ წვრილ-წვრილი სამეცნიერო სამუშაოები მიდის, მაგრამ, თუ ძირითად და შინაარსობრივ ცვლილებებზე ვსაუბრობთ, მაშინ ეს წვრილ-წვრილი საქმიანობა ჩვენს კრიტიკას ვერ გაუმკლავდება.

პრობლემა, ერთი მხრივ ის, რომ სახელმწიფო პირდაპირ აგზავნის თავის კანდიდატს, მეორე მხრივ, პრობლემა ისიც, რომ შიდა კლანები ცდილობენ, უნივერსიტეტის ავტონომიურობას ამოეფარონ. თვითმმართველობაც სწორედ ამას ცდილობს, ავტონომიურობის დაცვას ამოეფაროს ტრადიციულად.“

„გვერდი უკონო, რომ გია შერვაშიძის კანდიდატურას შიდა კლანები თავის კანდიდატს დაუპირისპირებოდნენ. სწორედ ამგვარ ამყარებდნენ იმედს დაბალი რგოლის პიუროკრატიები და თვითმმართველობაც. ბოლოს ისინი ცდილობდნენ, რომ თავისი კანდიდატურა დაეყენებინა ამათად რექტორის მოვალეობის შემსრულებელს დაარსებულ დარეგულირებულ მთავრობაში. ამ შანსსაც ვხედავთ, ცხადია, ამ ნაპირისთვის გაგზავნილი ვერ იქნება.“

სინამდვილეში კალაუფლავის მორიგი გადაწვევის დეპარტამენტი უფრო მაღალ ეფლონებაში გადასწავს. უნივერსიტეტის შიდა კლანებმა საკუთარი კალაუფლავი შეაფასეს და გია შერვაშიძის თანხმობით კანდიდატი არ დაუპირისპირდნენ. ცხადია, მათ აჩინეს კონკრეტული გარანტიები მიიღეს. რექტორად არჩეულ შერვაშიძეს გვერდი ვალი ეძება დასაბრუნებელი.

საიდუმლო არაა, რომ ის, ჯერ კიდევ იმ დროს, როცა მინისტრის მოადგილის პოსტს ინარჩუნებდა, მოლაპარაკებებს ახდარმოებდა უნივერსიტეტის გადარჩენის ჯგუფთან.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ფაქტია, რომ რექტორის არჩევნები უპრობლემოდ ფარსია. შეუძლებელია გია შერვაშიძის კანდიდატურა სტუდენტებისთვის მისაღები იყოს“ (ცოტნე ცხვედიანი, „ავტონომია და იზოლაცია“).

ბახვა კვირიკაშვილი, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი: „წარმოდგენილი სამი კანდიდატურიდან რომელიმე მიმართ სიმპათია რომც გვექონდეს, ამის გაუფრებებს მაინც არ ვაპირებთ, რადგან ამით გამოვრიცხვით აკადემიურ საბჭოებზე რაიმე ზეგავლენის ან ზეწოლის ფაქტორი. მათ ობიექტური გადაწყვეტილება უნდა მიიღონ და პირდაპირ, დემოკრატიული არჩევნების გზით, აირჩიონ უნივერსიტეტის მომავალი რექტორი. რაც შეეხება წარმოდგენილ კანდიდატების შესახებ ინფორმაციას, მათგან მხოლოდ ერთის – გიორგი შერვაშიძის შესახებ ვფლობთ ინფორმაციას. ჩვენი პოზიცია ამ კანდიდატურის მიმართ იცის როგორც აკადემიურმა საბჭომ, ისე საუნივერსიტეტო საზოგადოებამაც – მის რექტორად არჩევას შეიძლება უნივერსიტეტის ავტონომიის შეზღუდვა მოჰყვეს. რაც შეეხება დანარჩენ ორ კანდიდატს, მე პირადად არც მათი წარსულის შესახებ მაქვს ინფორმაცია და არც მათ კონცეფციებსა და სამომავლო გეგმებს ვიცნობ. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო – სტუდენტური თვითმმართველობა – ყოველთვის ინსტიტუციური წესრიგისა და კანონიერების ფარგლებში მიმდინარე პროცესების მომხრე იყო. ამიტომაც, კანონიერად მხოლოდ ერთადერთ ორგანოს – აკადემიურ საბჭოს შეუძლია, არჩევნების გზით, ობიექტური გადაწყვეტილების მიღება და, რასაკვირველია, სწორედ მას დაეკისრება სრული პასუხისმგებლობა უნივერსიტეტის რექტორის არჩევაზე.“

აკადემიურ საბჭოსთან ორი შეხვედრა გვექონდა და მათი პოზიციები მოვისმინეთ, გაცანით ჩვენი წინასწარჩევი განწყობა და დამოკიდებულება კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. საერთოდ კი, ვფიქრობ, მთელი საუნივერსიტეტო საზოგა-

დობა ერთ რამეზე უნდა თანხმდებოდეს – უნივერსიტეტს ჰყავდეს რექტორი, რომელიც იქნება კარგი მეცნიერი და კარგი მენეჯერი. სამსუხაროდ, შიდა საუნივერსიტეტო სივრციდან არავინ არ წამოაყენა კანდიდატი. რატომ? ეს უკვე ცალკე პრობლემაა, თუკი უნივერსიტეტს არ შეუძლია ან არ აკეთებს იმას, რომ საერთო კანდიდატი ჰყავდეს შიდა წრიდან. უნივერსიტეტში მყოფი ადამიანი უფრო კარგად იცნობს არსებულ პრობლემებს, უფრო მეტიც, საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი, უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში, კონკრეტული ხელმძღვანელის არასწორმა ქმედებამ სადამდე მიგვიყვანა. იგულისხმება, რა თქმა უნდა, საუნივერსიტეტო პოლიტიკა. ამიტომაც სამსუხაროა, რომ არ შეირჩა შიდა კანდიდატი, მაგრამ მოცემულობიდან გამომდინარე უნდა ვიმსჯელოთ ხოლმე.“

გიორგი შერვაშიძის რექტორად არჩევას აპროტესტებენ „აუდიტორია 115“-ის წევრებიც და სტუდენტური თვითმმართველობაც, თუმცა მათი პროტესტი ერთიანობაში მაინც არ განიხილება. როგორც **ბახვა კვირიკაშვილი** აცხადებს: „ამ საკითხზე არა მხოლოდ თვითმმართველობა და „აუდიტორია 115“ უნდა ერთიანდებოდეს, არამედ ზოგადად საუნივერსიტეტო საზოგადოება. რაც შეეხება პოზიციის ერთიანობას, „აუდიტორია 115“-ის წარმომადგენლები ამის წინააღმდეგი არიან. როცა აკადემიურ საბჭოსთან პირველ შეხვედრას ვაპირებდით, დავუკავშირდით და შეხვედრაზე მოსვლა შევთავაზეთ, ერთად რომ დავგვეფიქსირებინა პოზიცია, მაგრამ უარი მივიღეთ. ვფიქრობ, „აუდიტორია 115“ უფრო ღიად და ცხადად უნდა აფიქსირებდეს თავის პოზიციას და მხოლოდ იმ არგუმენტით, რომ წარსულში მინისტრის მოადგილედ მოატყუათ, არ უნდა აპროტესტებდნენ შერვაშიძის არჩევას და ამით უნივერსიტეტის ავტონომიის შეზღუდვას. კონკრეტულ შემთხვევაში, უფრო მისაღები მიზეზი და არგუმენტი ისაა, რომ მინისტრები და მინისტრების მოადგილეები პირდაპირ არ უნდა მოდიოდნენ თანამდებობებზე. ავტონომიის შეზღუდვა სწორედ მაშინ ხდება, როცა პირდაპირ ხდება ჩარევა კონკრეტული ინსტიტუციის გადაწყვეტილებებში. კარგი იქნებოდა, თუ მხოლოდ ამ ფაქტის გამო არ დაუპირისპირდებინა კონკრეტულ კანდიდატს და არ დაივიწყებენ უნივერსიტეტის მომავალ საფრთხეს.“

„შერვაშიძე აბტიურად მონაწილეობდა განათლების სამინისტროსა და „აუდიტორია 115“-ს შორის გაბატონულ მოლაპარაკებაში. შეხვედრაზე ზოგჯერ კომიკური ვითარება იმდენად დასრულდა – როცა კრიტიკულ შეკითხვებს მინისტრი ვერაფერს პასუხობდა, ამ ყველაფერზე გასულიყო მათი პასუხის გაცემას თავის თავზე იღებდა შერვაშიძე, რომელიც უპრობლემოდ ცდილობდა, დემაგოგიური და უზინაარსო ფრაზებით ააბრუნებინა კითხვები მინისტრისთვის.“

საგოლორდ, „აუდიტორია 115“-სა და განათლების სამინისტროს შორის შეთანხმება მაინც შედგა. დამთხვეულია განათლების სამინისტროდან პარლამენტში შესატანი კანონ-პროექტი უნდა გადამოგზავნათ სტუდენტებისთვის. როგორც **ბახვა კვირიკაშვილი** იხსენებს, ამათვეს უფალ აკადემიურ გარემოს, სადაც მიცნეილება მიორეხარისხვანი, მთავარი კლანების ინტერესები, რომლებიც, ცოდნის ტაპასი (როგორც თვითონ უყვართ ხოლმე მათ), პათეტიკურ გამოსავლებში იხი უზარადა და არა კორპორაციას და მხოლოდ ფინანსური ინტერესებისთვის იყენებენ.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ცხადია, რექტორების პერიოდში მისგან არანაირ დამოუკიდებელ მოქმედებას არ უნდა ველოდეთ. უნივერსიტეტი ისევ კვლავ უნდა მართავდეს თავისი პოლიტიკა. შევინარჩუნებთ იზოლაციას, ამათვეს უფალ აკადემიურ გარემოს, სადაც მიცნეილება მიორეხარისხვანი, მთავარი კლანების ინტერესები, რომლებიც, ცოდნის ტაპასი (როგორც თვითონ უყვართ ხოლმე მათ), პათეტიკურ გამოსავლებში იხი უზარადა და არა კორპორაციას და მხოლოდ ფინანსური ინტერესებისთვის იყენებენ.

„უკვე დროა, რომ კალაუფლავის გადაწვევის ამგვარი დასრულებული ჯაჭვი ყალბი ამოგვივიდეს. დღეს ჩვენ გვჭირდება ბრძოლა ხარისხიანი განათლებისთვის. უნდა დასრულდეს არსებული მანქანის პრატიკა, როცა ლექტორები უპრობლემოდ ინფორმაციას გადასცემენ სტუდენტებს. ჩვენ გვჭირდება მინიმალური მშუბრება და არა კორპორაციულ ძეგურ უნივერსიტეტი“ (ცოტნე ცხვედიანი, „ავტონომია და იზოლაცია“).

„აუდიტორია 115“-ის ძირითადი და ფუნდამენტური მოთხოვნა განათლების ხარისხის გაუმჯობესებასა და განათლების ხელმისაწვდომობას უკავშირდება.“

გიორგი სოფრომაძე: „ხარისხში, რა თქმა უნდა, იგულისხმება რეფერირება, მეცნიერული, კვლევითი სამუშაოები; ხელმისაწვდომობაში კი – განათლების მიღების შესაძლებლობა, რასაც სტუდენტი, ერთი მხრივ, ვერ ახერხებს იმის გამო, რომ უნივერსიტეტში განათლების ხარისხი დაბალია და, მეორე მხრივ, იმიტომ რომ, დიდი გადასახადია, ამის გარდა მათ ნაქირავებ ბიუჯეტში უწევთ ცხოვრება.“

ამიტომ ვითხოვთ, მოგვარდეს და მოწესრიგდეს სტუდენტთა დასაქმებისა და სტუდენტური საცხოვრების საკითხი, ამით პირდაპირ მიველითობთ სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე. როცა სახელმწიფოს პრიორიტეტი არ არის მეცნიერება, გვიწევს შეხსენება, რომ გაიხადონ მეცნიერება პრიორიტეტად, მეტი თანხა გაიღონ მის გასავითარებლად, რომ უნივერსიტეტში დაიწყოს სამეცნიერო მუშაობა, კვლევითი საქმიანობა. მიველითობთ იმაზე, რომ ხელმისაწვდომი გახადონ სწავლა სტუდენტისთვის, მისცენ საცხოვრებელი და მოავარონ დასაქმების პრობლემა. გაიღეთ ხარჯები ამისთვის.“

რაც შეეხება საუნივერსიტეტო სივრცისა და თვითმმართველობის საკითხს, გეტყვით, რომ თვითმმართველობა დღეს, უნივერსიტეტში, წარმოდგენს პრივილეგირებულ ჯგუფს, სადაც თანასწორ ურთიერთობებზე გვერდის აგება სტუდენტური აზრის წარმოჩენა. ამასთან ერთად, ისინი არამიზანდირ-

თულად ფლანგავენ თანხებს. ჩვენ ვამბობთ, რომ მხოლოდ თვითმმართველობა ნუ იქნება ერთადერთი ლეგიტიმური სტუდენტური წარმომადგენლობითი ორგანო უნივერსიტეტში, ყველა ჯგუფს თავისუფლად გაერთიანების შესაძლებლობა მიეცეს და ყველა სტუდენტს – თანასწორი შესაძლებლობა მიიჩქებული უფლებებით სარგებლობისთვის. სტუდენტური საქმიანობა გაეხადოთ უფრო შინაარსიანი და არა ზედაპირული. ფაქტობრივად, როცა ამ მოთხოვნებიდან ვერც ერთის შესრულება ვერ შეძლო შერვაშიძემ, მინისტრის მოადგილედ ყოფნის დროს, ეს პირდაპირ მიანიშნებს, რომ მას არ შესწევს უნარი, გადადგას ქმედითი ნაბიჯები. ის პირდაპირ გამოგზავნილი კადრია უნივერსიტეტში და სხვა მისია აკისრია.“

ჩვენ არავის მივეცემთ იმის საშუალებას, რომ რექტორის არჩევნებით გადაფაროს „აუდიტორია 115“-ის ძირითადი მოთხოვნები. ჩვენი და თვითმმართველობის მოთხოვნები ფუნდამენტურად განსხვავდება ერთმანეთისგან. ვერც კრიტიკას მივიღებთ მათგან, რადგანაც რექტორის არჩევნების შესახებ ჩვენი პოზიცია მკაფიოა და მას ბოლომდე ვაყვევებით.“

ვიმედოვნებთ, შერვაშიძე გონივრულ გადაწყვეტილებას მიიღებს და გაითვალისწინებს სტუდენტთა პროტესტს.“

რას აპირებენ იმ შემთხვევაში თუკი 23 სექტემბერს აკადემიური საბჭო რექტორად გიორგი შერვაშიძის აირჩევს? – **გიორგი სოფრომაძე** ამბობს, რომ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმის სურვილი პროცესში გამოჩნდება: „ერთია, წინასწარ განვიხილოთ და დავგვემოთ შემდგომი ნაბიჯები, მაგრამ მეორეა, კონკრეტული ვითარების გათვალისწინება, რადგან არის შემთხვევები, როცა არ შეიძლება, საკითხს სხვაგვარადაც რომ არ შევხედოთ. თუმცა, ეს არ ნიშნავს პრინციპებისა და პოზიციის დათმობას. უბრალოდ, საუბარია ბრძოლის ხერხებზე. ბუნებრივია, „აუდიტორია 115“ კიდევ უფრო დიდი ძალისხმევით, გაასამაგებელი და გაათასმაგებელი ძალით დაიწყებს ამ მოთხოვნებისთვის ბრძოლას. ჩვენ ვაიძულებთ სახელმწიფოს, შეასრულოს მისი პირდაპირი ვალდებულება.“

არ გავჩუმდებით, უპირობოდ გავაგრძელებთ ბრძოლას რეალური სამეცნიერო სივრცის შესაქმნელად უნივერსიტეტში. გავიარეთ ის პერიოდი, როცა ძალაუფლებრივი ჯგუფები ინანილებდნენ ძალაუფლებას, ამ ჯგუფებს უერთდებოდა სახელმწიფოც და ამ ფორმით იგდებდა ხელთ მართვის სადავეებს. ჩვენ ცვლილებები გვჭირდება. ასეთი ტიპის თამაშებში, რეალურად, სტუდენტებს ვეღარ ჩაითრევენ. სტუდენტების პოზიცია მკვეთრია – არ უნდა გახადონ უნივერსიტეტი ძალაუფლებრივი კლანების ბრძოლის ველად. უნივერსიტეტი უნდა გახდეს ყველაზე მთავარი და უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო დაწესებულება ამ ქვეყანაში, უნდა იქცეს სივრცედ, სადაც თანასწორად შეიძლება სტუდენტებს ურთიერთობა ერთმანეთთანაც და ლექტორებთანაც. უპირველეს ყოვლისა, უნივერსიტეტი უნდა გადაეჭვივოს სტუდენტებისა და ლექტორების სამეცნიერო სივრცედ და არა კლანების დაწესებულებად. აქ უნდა გაჩნდეს შესაძლებლობა სტუდენტებისთვის, აწარმოონ ახალი ცოდნა და მეცნიერული შრომა, უნივერსიტეტი მეცნიერების ადგილია და არა კორპორაცია, რომელიც ფულის საშუალებლ მანქანას დაემსგავსა. დროა, მორჩეს შეფასებები, რომ ამ „წმინდა ტაძარში ცოდნის აკვანი დაიწინა!“ დღეს ამით აღარავინ ტყუვდება. ყველა სტუდენტი კარგად გრძნობს და აანალიზებს პრობლემებს, რომლებიც ჩვენს თავსაა. ვინც თავს არევენებს, რომ სხვა პლანეტაზეა და იქიდან იბრძვის, მას, ჩვენგან განსხვავებით, სხვა რამ აქვს შესაბარუნებელი.“

ბახვა კვირიკაშვილი კონკრეტული ქმედებების შესახებ საუბარს 23 სექტემბრის შემდეგ ამჯობინებს და აცხადებს, რომ: „უნივერსიტეტის თვითმმართველობა, რა თქმა უნდა, ყოველთვის იყო მისი ავტონომიურობის სადარაჯოზე და, რაც მთავარია, ამჯობინებს უნივერსიტეტის ავტონომიისთვის საჭირო ინსტიტუციური წესრიგის არსებობას. ინსტიტუციური წესრიგი არ არსებობდა მარტში და რა მოვლენებიც მივიღეთ, ყველას კარგად გვახსოვს. ამიტომაც, რალაც პერიოდიდან მაინც, ამ უნივერსიტეტში უნდა დაიწყოს წესრიგის აღდგენა და ინსტიტუციებისადმი პატივისცემა. სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ სრული პასუხისმგებლობა არჩევნების შედეგებზე აკადემიურ საბჭოს ეკისრება. რაც შეეხება ჩვენს კონკრეტულ ქმედებებს, მოდი, დაველოდოთ 23 სექტემბერს და ამაზე მერე ვისაუბროთ.“

„დღეს აუცილებელია განათლების ხელმისაწვდომობისთვის ბრძოლა. გვჭირდება დასაბამისი კორპორაცია, რომელიც ნორტილს დაუსვამს ჩაბვრას და ექსპლუატაციას, რომლის ატანაც უნებო სტუდენტებს (ცხადია, ვგულისხმობთ რეალური დასაბამისი პროექტს და არა ისეთ ფასადურ პიარ-აქციას, რომელიც ნაციონალურმა მოძრაობამ შემოგვთავაზა, როცა ხალხი უნდა შექმნას მოქალაქეაინი საშუალო ადგილები.“

სტუდენტს უნდა ექლედოს საშუალება იმუშაოს ნახევარ განაკვეთზე, რათა სწავლისთვის დარჩეს დრო და ენერჯია. ახლაც ეს თითქმის შეუძლებელია. ახლაგარდავანი, რომელიც მომსახურების სფეროში მუშაობენ, პრატიკულად, ჩამოშორებული არიან სასწავლო პროცესს.“

ასეთია დღეს რეალური პრობლემები, რომლის წინაშეც ვდგავართ. სიტუაცია კი, მხოლოდ კალაუფლავის გადაწვევის მორიგ ფარსს ბეთავაზობს.“

ჩვენ ვამბობთ კიდევ ერთხელ ვუპუროთ ამ საანახობას ან ერთმანეთს ვუთხრათ, რომ მოგვპოვდა ეს უნიჭობა და ვითქვამთ, რომ უნივერსიტეტი ეპუთენის ლექტორებს და სტუდენტებს“ (ცოტნე ცხვედიანი, „ავტონომია და იზოლაცია“).

როგორ დავძლიოთ არაკროფესიონალიზმი ტოტალური რეპრესივის ფონზე

ავვისტოში მასწავლებელთა სასაერთაშორისო გამოცდა 3464-მა მასწავლებელმა ჩააბარა, რაც გაცილებით მცირეა ჩაჭრილთა რაოდენობაზე. დღევანდელი მონაცემებით, 25 ათას მასწავლებელს დადასტურებული აქვს საგნის კომპეტენცია, დაახლოებით ორი ამდენი მასწავლებელი კი ამაღს, ჯერჯერობით, ვერ ახერხებს. მასწავლებლის საქმიანობის დასაფუძვლილ პროფესიულ განვითარებას და კარიერულ წინსვლას სქემის მიხედვით, პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის საბიზნესი დარჩა საგნის გამოცდის ჩასაბარებლად, სხვა შემთხვევაში მათ სკოლა ავტომატურად ხელშეკრულებას უწყობს. ეს ჩანადერი, როგორც მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ რამდენიმე დღის წინ მოცემულ ინტერვიუში განაცხადა, მშპარის შემცველია და, დაახლოებით, ერთ თვეში სქემიდან გაქრება, მასწავლებლებს კი, გამოცდის ვერ-

ჩაბარების შემთხვევაში, სკოლა არსად არ გაუშვავს. ბარდა ამისა, სქემში სხვა ცვლილებებიც იგეგმება. უცვლელი რჩება რეალურად, რომელიც წელიწადში ორჯერ, გამოცდების შედეგების გახმობის შემდეგ, გვახსენებს სკოლა თავს და ყველაზე მეტ ალფონთებს თავად პედაგოგებში იწვევს. ნუ ნაბრათივით ღირსებას! - ეს ერთ-ერთი პედაგოგის სიტყვაა, რომელიც რეალურად ისევე ახსნავს გამოცდის ჩაჭრით განაწყენებული პედაგოგების განწყობას, როგორც გამოცდის შედეგების სტატისტიკა - რეალურად!

შ-ს დღევანდელი სტუმარი განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი რეზა აფხაზაძე სწორედ ამ პრობლემაზე და მათი დაკლების გზაზე გვიმსაუბრება.



ზაფხულში, მასწავლებელთა საგნის გამოცდებზე მიღებულმა შედეგებმა და განმარტებულმა ციფრებმა საზოგადოება კიდევ ერთხელ ალაპარაკა და შეაშფოთა. როგორ ფიქრობთ, ასახავს თუ არა სტატისტიკა რეალობას?

ივლისში ჩატარებული გამოცდის შედეგები ერთ-ერთი დეტალია მთლიანი პროცესისა, რომელიც მასწავლებლების სერტიფიცირების მიმართულებით მიმდინარეობს. ეს ერთი კონკრეტული ნაბიჯია, სადაც გარკვეული რაოდენობის მასწავლებლებმა მიიღეს მონაწილეობა, მათ შორის, მასწავლებლების მსურველებმა. დანესებული კომპეტენციის ზღვარი მცირე ნაწილმა გადალახა, უმეტესობა - ვერ. შედეგი კი განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორით. ერთ-ერთია ის, რომ მასწავლებლებს, რომელთაც შეეძლოთ ტესტის მინიმალური კომპეტენციის ზღვრის დაძლევა, ეს უკვე გააკეთეს და ამ გამოცდებში აღარ მონაწილეობენ. შენაბამისად, დარჩენილი პედაგოგთა კრიტიკული მასა, რომლებსაც უჭირთ გამოცდის დაძლევა, მათი შედეგების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას არც უნდა ველოდოთ, რადგან ტესტის სირთულე, ფაქტობრივად, ერთი და იგივეა და მხოლოდ რამდენიმე გასვლა აქ არაფერს შეცვლის - ვინც ვერ ჩააბარა გასულ წლებში, მას ახლაც უჭირს ზღვრის გადალახვა. ვფიქრობ, მხოლოდ კონკრეტული საგნის გამოცდის კონკრეტული შედეგი არ უნდა იყოს განსჯის საგანი, უფრო მეტად უნდა დავინტერესდეთ იმით, მთლიანობაში მასწავლებლების კოპორტის რა ნაწილი ადასტურებს საგნის კომპეტენციას და რა ნაწილი ვერ ადასტურებს.

თუ ზოგადად მასწავლებლის პროფესიონალიზმის შეფასებაზე ვსაუბრობთ, არ უნდა დავგვიწყნდეთ, რომ საგნის კომპეტენციის დადასტურება ერთ-ერთი მაჩვენებელია და არა ერთადერთი. თუმცა, ეს ერთ-ერთი მაჩვენებელი უმნიშვნელოვანესია და თან საავადლებული. მასწავლებლის პროფესიონალიზმის შეფასებისას ასევე, უმნიშვნელოვანესია, თუ როგორ მუშაობს ის ბავშვებთან, როგორ შეუძლია მასალის გადაცემა, რა პედაგოგიურ მეთოდებს იცნობს და როგორ იყენებს მათ; როგორ თანამშრომლობს კოლეგებთან; როგორ ზრუნავს თვითგანვითარებაზე, რამდენად აქტიურად მონაწილეობს სკოლის ცხოვრებაში და ა.შ. თავისთავად, მათ შორის, ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი იმ საგნის ცოდნა, რომელსაც ასწავლის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერი დანარჩენი აზრს კარგავს. მარტივია, თუ მე არ ვიცი გამრავლების ტაბულა, მასწავლებლის მისთვის აუცილებელი რაც უნდა კარგი თვისებები მქონდეს, საბოლოო ჯამში, გამრავლების ტაბულას მანაც ვერ შეგასწავლით. მეორე საკითხია, როცა ვიცი გამრავლების ტაბულა, მაგრამ ვარ მაგალითად ინტრავერტი, არ შემიძლია ცოდნის გადაცემა, ახსნა, ბავშვ-

ბის დანახვაზე გული მისკდება ან, უბრალოდ, აგრესიული ვარ. ამიტომ ვამბობ, მასწავლებლის შესაფასებლად საგნის გამოცდა ერთ-ერთი კომპონენტი და არა ერთადერთი. სამსუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია გამოცდები მიმდინარეობს, მაინც გვრჩება მასწავლებლების დიდი რაოდენობა, ნახევარზე მეტი, რომლებსაც საგნების კომპეტენციები არ აქვთ დადასტურებული. ძალიან ბუნებრივია, ეს სისტემას აზიანებს, მათ შორის, თავად მასწავლებლებსაც და პროფესიის პრესტიჟსაც.

რატომ ვიღებთ ასეთ შედეგებს, საგნის გამოცდა რთულია?

ერთმნიშვნელოვნად ვფიქრობ, რომ საგნობრივი გამოცდა რთული არ არის. იმასაც ვფიქრობ, რომ ამ გამოცდებში არის რთული კითხვები, მაგრამ მარტივი და საშუალო სირთულის კითხვები იმ რაოდენობითაა, რომ მასწავლებელმა, რომელიც სხვებს გადასცემს ცოდნას, თავად შეძლოს მინიმალური კომპეტენციის ზღვრის დაძლევა. ჩემი ღრმა რწმენით, რამდენიმე საგანში (ყველა საგანში, რა თქმა უნდა, არ ვარ კომპეტენტური) ნამდვილად არ არის ისეთი სირთულე, რომ მასწავლებელმა ვერ დაძლიოს. მსმენია იმის შესახებაც, რომ მაგალითად, ფიზიკაში ტესტი ამოცანებითაა გადატვირთული, რაც პრობლემას ქმნის დროში და ა.შ. მინისტრმა ისიც განაცხადა, რომ იქ, სადაც აპლიკანტთა 83 პროცენტი ვერ აბარებს, ტესტის პრობლემაა. მაგრამ, არ დავგავიწყდეს, ჩვენ ხომ მასწავლებლების სტანდარტთან შესაბამისობას ვამოწმებთ. მაშინ უნდა ვთქვათ, რომ სტანდარტი მაღალი ან რომ ტესტი არ შესაბამისაა სტანდარტს. ეს თუ ასეა, თავად მასწავლებლებსაც შეუძლიათ, გააკეთონ არგუმენტირებული ანალიზი და დაასაბუთონ, რომ ტესტებში კითხვების უმრავლესობა სტანდარტთან შესაბამისობაში არ არის, აქედან გამომდინარე, ეს მათ არც მოეთხოვებათ. ტესტები ღიაა, სტანდარტი საჯარო და ამის გაკეთება და საკუთარი სიმართლის დადასტურება პედაგოგებს თავადაც შეუძლიათ. სხვა შემთხვევაში, ვერ მივიღებ არგუმენტად ცალკეული დავალების სირთულეს. ერთ-ერთი დავალება, რა თქმა უნდა, შეიძლება იყოს რთული, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ტესტი მთლიანად რთულია.

ჩვენ, წლების განმავლობაში, პრობლემის იდენტიფიცირებას ვახდენთ, მაგრამ განზრახ ვხუჭავთ თვალს. პოლიტიკურ კონტექსტზე ვსაუბრობ. გადაწყვეტილების მიმღები ადამიანები ამბობენ, რომ მასწავლებლებთან მიმართებაში პრობლემა არ გვაქვს. დღესაც იგივე რიტორიკა გვესმის, რომ ყველა მასწავლებელი ძალიან კარგია და პრობლემა სხვა რამეშია. კი ბატონო, პროფესიონალი მასწავლებელიც გვყავს და, თავისთავად, ყველა არ მოიაზრება იმაში, ვისზეც ახლა ვსაუბრობთ.

სახელმწიფო უნდა აღიაროს პრობლემა, დასვას დიაგნოზი, რომ მერე მისი მკურნალობა დაიწმინდოს. მაგრამ დიაგნოზის დასამადე ვერ მივდივით, რადგანაც სახელმწიფო არ აღიარებს, რომ რაღაც ანუხებს. როგორც კი არჩევნების პერიოდი მოდის, მაშინვე იწყება ასეთი რევერანსული პოლიტიკა. რატომღაც ავიწყდებათ, რომ სისტემა ემსახურება არა მასწავლებლებს, არამედ მოსწავლეებს. ამიტომაც სისტემამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული მოსწავლეების ინტერესები და არა პირიქით - ვინც სისტემას ემსახურება, იმათი ინტერესების დაცვის ხარჯზე დავაზიანოთ მოსწავლეთა ინტერესები.

პირველ რიგში, უნდა ვთქვათ, რომ გვყავს მასწავლებლების გარკვეული რაოდენობა (და, სამსუხაროდ, ეს საკმაოდ დიდი რაოდენობაა), რომლებიც დროთა განმავლობაში საჭიროებენ ჩანაცვლებას. ეს თუ არ ვთქვით, პრობლემის მოგვარება ვერ დაიწყება, ეს ცალსახაა. პრობლემების სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე უნდა განისაზღვროს იმ მასწავლებლების რაოდენობა, რომლებიც უნდა ჩანაცვლდნენ და ასევე გამოიყოს ის ჯგუფი, რომელთა მხარდაჭერა და კვალიფიკაციის ამაღლება არის შესაძლებელი. ამის შემდეგ, უკვე იდენტიფიცირებული პრობლემების მაქსიმალური გათვალისწინებით, აქცენტი მასწავლებლის მომზადების პროგრამებზე უნდა გაკეთდეს. პარალელურ რეჟიმში, ხელფასის ზრდასთან (ხელფასი აუცილებლად კომპეტენციას უნდა შეესაბამებოდეს. არ შეიძლება, მაგალითად, სამეცნიერო ინსტიტუტში უფროსი მეცნიერ მუშაკი და პრაქტიკანტი ერთნაირ გასამრჯელოს იღებდეს - მაღალი კომპეტენციები მაღალ ანაზღაურებას საჭიროებს) ერთად, გაძლიერდეს მასწავლებლის მომზადების პროგრამა და მისი პრესტიჟის ამაღლებისათვის დაიგეგმოს მასშტაბური და თანმიმდევრული საინფორმაციო კამპანია. დროთა განმავლობაში სახელმწიფო ჩანაცვლების პოლიტიკაზე უნდა გადავიდეს და არა შენარჩუნების, როგორც ახლანა. ჩვენ გვეუბნებიან: რომელი მასწავლებელიც კადრი ერთდროულად ვერც მოიძებნოს ქვეყანაში, მაგრამ ისინი დროებით მოვალეობის შემსრულებლები უნდა გახდნენ და სახელმწიფომ, განათლების სამინისტრომ, ეროვნულ სასწავლო დეპარტამენტთან ერთად, რესურსცენტრების უშუალო დახმარებით, დეტალური ინსტრუქციები მიანოდონ ასეთ მასწავლებლებს, როგორ ჩაატარონ გაკვეთილები. ასევე აუცილებელია, ის მასწავლებლები, რომლებიც მუდმივად ზრუნავენ საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე და კარგად ატარებენ გაკვეთილებს, იყენენ მეტად დაფასებულნი და დატვირთულნი, ვიდრე ის მასწავლებლები, რომლებსაც მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ აქვთ დაძლეული.

როგორ მივიზიდოთ ახალგაზრდა კადრები და ფიქრობთ თუ არა, რომ პროფესიაში შესვლა გართულებულია?

ვინაიდან დღეს, რეალურად ვდგავართ ფაქტის წინაშე, რომ კვალიფიციური მასწავლებლის დეფიციტია (ამას ვერაფერი უარყოფს. ბოლოსდაბოლოს ვიცით საერთაშორისო კვლევებში მოსწავლეთა ცუდი შედეგებიც, რომელშიც ყველაზე დიდი წილი მასწავლებლის „დამსახურება“), ვფიქრობ, კიდევ დამატებით ბარიერებს ვქმნით იმისთვის, რომ სკოლაში ახალგაზრდა კადრი მოვიდეს. სინამდვილეში, პირიქით უნდა იყოს. მესმის, რომ მასწავლებლობა რეგულირებადი პროფესიაა, ისე როგორც ექიმის, მაგრამ სკოლები მაქსიმალურად ღია და მიმზიდველი უნდა იყოს ახალგაზრდებისთვის. მათ ბარიერი კი არ უნდა შეუქმნანთ, არამედ როგორღაც შევიტყუოთ სკოლაში და მერე მოვთხოვოთ კრედიტების დაგროვება თუ გარკვეული აქტივობების შესრულება. თავიდან მას ერქვას მაძიებელი, როგორც ადრე იყო, ჰქონდეს უფრო ნაკლები ხელფასი, იყოს დაკვირვების ქვეშ, შეეუშვათ იქ, სადაც გაკვეთილი ცდება და ამ ყველაფერს პარალელურად, ვუთხრათ, რომ თეორიული ცოდნა გაიღრმავოს. ახალგაზრდა მასწავლებელს მხოლოდ სასკოლო გარემოს გაცნობის შემდეგ შეიძლება მოუწოდოთ პროფესიაში დარჩენა. მეც ასე იყავი. პირველად, მე-6 სკოლაში მივედი, პირდაპირ გაკვეთილზე კი არ შემიშვეს, იმ გაკვეთილს ვატარებდი, რომელიც ცდებოდა. მერე ნელ-ნელა მივეჩვიე გარემოს, ბავშვებთან და კოლეგებთან ურთიერთობას, მომეწონა ეს ყველაფერი და ისე „მოვიწამლე“ სკოლას, რომ გადავწყვიტე მაგისტრატურაში განათლების მიმართულებით ჩამეხარებინა. რაც მთავარია, სკოლაში მუშაობის პერიოდში სხვაგან მუშაობის საშუალებაც მქონდა. ახლა პირიქით ხდება - ახალგაზრდას ეუბნებიან, რომ სკოლაში შესვლამდე, ჯერ „ნორმატივს“ შეასრულებ და თუ ამას ნარმატივით შეძლებ, მერე შეგიშვებ სკოლაში. ეს მაშინ, როცა მას ნარმოდეგენაც არ აქვს, რა ხდება, დარწმუნებული არ არის ნამდვილად უნდა თუ არა იქ მუშაობა. ამიტომ ვამბობ, რომ უმჯობესია უფრო იოლად შევიდეს სკოლაში და მერე გზადაგზა ააკრფინო უნარები თუ თეორიული ცოდნა.

ჩემი სტუდენტები, რომლებიც მაგისტრატურაში განათლების მართვაზე სწავლობენ, სუპერმარკეტებში არიან დასაქმებული კონსულტანტებად ან სხვა მსგავს სამსახურებში. პროფესიით იშვიათად თუ ვინმე მუშაობს, რადგან სკოლებში გარკვეული

სკოლარი

მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის გამო ვერ შედიან. სკოლა მათ არ ეძახის. შემდეგ, როცა ამთავრებენ მაგისტრატურას, ისევ კრედიტ-ოფიცრებთან, მოლაურ ოპერატორებთან ავრძელებენ მუშაობას. არადა, ადამიანების ნაწილს, რომლებიც აქ ქირით ცხოვრობენ, ურჩევნიათ თავიანთ სოფლებში დაბრუნდნენ და დასაქმდნენ სკოლაში. ამის შემდეგ კი, პარალელურ რეჟიმში, შეიძლება მოსთხოვონ, დაადასტურონ კომპეტენციები ან განავითარონ ისინი.

- ხედავთ თუ არა ბმას მასწავლებელთა გამოცდების შედეგებს და კიდევ უფრო მომძლავრებულ რეპეტიტორების ინსტიტუტს შორის, ანუ ფიქრობთ თუ არა, რომ არაკვალიფიციურ პედაგოგს მშობელი არ ენდობა და ის რეპეტიტორთან მიჰყავს? თქვენი მიერ განხორციელებული კვლევების მიხედვით, რა არის ასე მომძლავრებული რეპეტიტორების ძირითადი მიზეზები?

- რეპეტიტორობა მხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვის არაა დამახასიათებელი, უბრალოდ, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში ტოტალურია. ამას ადასტურებს ჩვენი ორგანიზაციის - განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის - მიერ ჩატარებული რამდენიმე კვლევა - „კერძო რეპეტიტორობის ფენომენი საქართველოში“.

ჩვენს ქვეყანაში, დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები, საშუალო შეძლების მქონე ოჯახებიდან, მასობრივად ემზადებიან რეპეტიტორობისთვის. კვლევა კატის გამოცდებამდე ჩატარდა, რის შემდეგაც მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. რეპეტიტორობა სხვადასხვა საფეხურზე გვხვდება და სხვადასხვა მიზეზი აქვს. შეიძლება ითქვას, რომ რეპეტიტორობაზე 100-პროცენტული მოთხოვნა იმეტომ, რომ იმ ოჯახების უმრავლესობა, როლებიც ვერ ამზადებენ ბავშვებს რეპეტიტორთან, დამატებით კითხვაზე - საშუალება რომ გქონდეთ, მოამზადებდით თუ არა შვილს რეპეტიტორთან? პასუხობენ - არა თქმა უნდა, მოვამზადებდით. ერთადერთი მიზეზი, რატომაც არ ამზადებენ შვილებს რეპეტიტორთან, ფინანსური პრობლემაა ან, რიგ შემთხვევებში, უბრალოდ, არ არის ხელმისაწვდომი, განსაკუთრებით რაიონებში, სადაც არ ჰყავთ რეპეტიტორი.

მიზეზი, თავისთავად, გამოცდებისთვის მზადების დამახინჯებული ტრადიციული კულტურაა. არც გამოცდებისთვის მზადება მხოლოდ ჩვენთვის დამახასიათებელი, მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, დამახინჯებული ფორმა შეიძინა. ნლების წინ ნასწავლის გაქრობა, თავისთავად, ნორმალიზირდა, მაგრამ კონკრეტულად რაღაც ტესტისთვის მომზადება, როგორც საქართველოში ხდება, არანორმალურია - ოღონდ „ტესტი ჩავაბარო“ პრინციპით. როგორც კი ტესტზე ორიენტირებულობაზე გადავდივართ, განათლების არსს საერთოდ ვცდებით, მეტიც, განათლების მიღებისა და შემეცნების პროცესი იქ მთავრდება, რადგან გარკვეული დროის მონაკვეთში ვცდილობთ კონკრეტული ინფორმაციის დამახსოვრებას კონკრეტული მიზნისთვის და ამ მიზნის მიღწევისთანავე, ეს ამბავი მთავრდება, ინფორმაცია ქრება და არანაირ გავლენას ვინმეს განვითარებაზე, არსებითად, არ ახდენს. სხვა საკითხია, როცა რეპეტიტორთან ემზადები, ცოდნას იღრმავებ, რაღაცებს იხსენებ ან აანალიზებ.

რაც შეეხება მიზეზებს, რატომ ემზადებიან რეპეტიტორებთან, ეს, ერთი მხრივ, ტესტების პრობლემაა, მეორე მხრივ - მრავალრიცხოვანი კლასების, რომლის გამო მასწავლებელი ვერ ახერხებს მოსწავლისთვის საჭირო ცოდნის მიცემას ან, უბრალოდ, არ აქვს სათანადო კომპეტენცია, ინდივიდუალურად განსაზღვროს მოსწავლეთა საჭიროებები. არსებობს მესამე მიზეზიც - რაც შემთხვევებში მასწავლებელს არ აქვს სათანადო კომპეტენცია საგანთან მიმართებაში ან არ აქვს შესაბამისი პედაგოგიური უნარი და, შესაბამისად, უჭირს მოსწავლისთვის ცოდნის მიწოდება. ეს, რაც შეეხება დამამთავრებელ კლასებს, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ვიცით, რეპეტიტორობა საკმაოდ გავრცელებულია დაწყებით საფეხურზეც. დაწყებით კლასებში ეს პრობლემა, ზემოხსენებულ ბოლო ორ მიზეზთან ერთად, ცალსახად კავშირშია კულტურულ თავისებურებებთან, ქართველი „მშობლის ფენომენი“ - არიქა, დამატებით მოვამზა-

დებ იმისთვის, რომ კლასში უფრო კარგად გამოჩნდეს, პირველი იყო და ა.შ. კიდევ ერთი მიზეზი ისიც არის, რომ მშობლები ვერ ახერხებენ, ორგანიზებულ გარემოში მოაქციონ შვილები, რომ იმეცადინონ. ამიტომ ურჩევნიათ, რეპეტიტორი აიყვანონ, რომელიც სასწავლო-სამეცადინო გარემოს შეუქმნის მათ შვილს.

პრობლემა ისიცაა, რომ ზოგიერთ პრესტიჟულ სკოლაში გამოაცხადეს, რომ სწავლება გაძლიერებულია. მაგალითად, მათემატიკასა და ფიზიკაში. და ეს გაძლიერებული სწავლება იცით რაში გამოიხატება? რაც შეიძლება ბევრ მასალას აძლევენ სამეცადინოდ, იმდენად ბევრს, რომ მოსწავლეები დამოუკიდებლად ვერ ძლევენ. ამიტომ იძულებული არიან დამატებით იარონ მასწავლებლებთან - რეპეტიტორებთან. ჩემი აზრით, გაძლიერებული სწავლება იმას ნიშნავს, რომ უფრო კარგად აუხსნა და ინტენსიურად იმუშაო მოსწავლეებთან, ინდივიდუალური მიდგომა გამოიყენო თითოეულ მათგანზე, შეამცირო კლასებში მოსწავლეების რაოდენობა და ა.შ. აბა, ნახეთ, ვისთან ემზადებიან კომპაროველი ბავშვები? იმავე მასწავლებელთან, ვინც სკოლაში ასწავლიდა, რაც მთავარია, გაიგეთ რა ღირს მომზადება? ეს, უბრალოდ, არ შეიძლება. ამის შემდეგ, სკოლამ მოსწავლეთა კარგი შედეგებით იამაყოს და ჩვენც ვაქოთ და ვადიდოთ, რომ მაგარი სკოლაა, არაობიექტურია. სკოლა აქ არაფერ შუაშია, მშობლებმა ამ შედეგების მისაღებად დიდი თანხა გაიღეს რეპეტიტორებისთვის.

- რას ფიქრობთ შეფასების სისტემაზე?

- როგორც აღმოჩნდა, სკოლის შიდა შეფასებები არ ემთხვევა ცენტრალიზებულ შეფასებას. ადრე, სკოლები თავად ატარებდნენ გამოცდებს გამოცდებს, შემდეგ ამას ნაევი აკეთებდა. როგორც კი საატესტატო გამოცდების ჩატარება ე.წ. კატის სახით დაიწყო, აღმოჩნდა, რომ გარკვეული ნაწილი ვერ აბარებს გამოცდებს. ადრე რომ 100 პროცენტი აბარებდა, ეს მაჩვენებელი შეიცვალა. მასწავლებელს ბავშვი კლასიდან კლასში გადაჰყავს არა ობიექტური შეფასების შედეგების მიხედვით, არამედ დამოკიდებულებით - აბა, კლასში ხომ არ ჩავტოვებ ან ნიშნავს ხომ არ გავუფუჭებ? ასე მიდის მოსწავლე ნაბიჯ-ნაბიჯ დამამთავრებელ კლასამდე და ბოლოს, დამამთავრებელ კლასში, აღმოჩნდება, რომ არაფერიც არ იცის და ჩნდება შიში, საატესტატო გამოცდას ვერ ჩააბარებს, ანუ მინიმალურ ზღვარსაც ვერ გადალახავს. ამიტომაც სასწრაფოდ იწყება ფაცი-ფუცი და რეპეტიტორების ძებნა, მოსწავლე ყველა საგანში ემზადება, რომ ატესტატი აიღოს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ სახელმწიფო და სკოლა მოსწავლეს, რეალურად, ბოლოში აფასებს და ნლების განმავლობაში არ კითხულობს, როგორ სწავლობს და გადადის კლასიდან კლასში. ოჯახიც იძულებულია, მოამზადოს შვილი 8 საგანში, რომ მან შეძლოს სკოლის დამთავრების დამადასტურებელი საბუთი - ატესტატი აიღოს. პრობლემა ქართველი მშობლის მენტალობაშიცაა, რადგან, უმეტეს შემთხვევაში, მისთვის მთავარია ნიშანი. თუ მის შვილს ათიანი დაუფრეს მასწავლებლები, ის ამით ბედნიერია და ნაკლებად აინტერესებს რეალობა, რომ მისი შვილის ცოდნა გაცილებით დაბალია. ამით გამოდის, რომ მშობლები თავისივე ძალისხმევით ცდილობენ ლამაზად შეფუთული ცუდი საქონელი იყიდონ.

სკოლა, არაკვალიფიციური მასწავლებელი, სკოლის შიდა კულტურა, როგორც მიმდინარე, ისე ცენტრალიზებული შეფასებების სისტემების გაუმართაობა, საზოგადოებაში დამკვიდრებული ტრადიციები და კულტურა, მშობლების მოუცლევლობა - ამ ყველაფრის ერთობლიობა არის მიზეზი ტოტალური რეპეტიტორობის, რომელიც ჩვენს ქვეყანაში უფრო და უფრო იდგამს ფეხსებს.

- ახდენს თუ არა გავლენას მშობლებზე, სკოლის არჩევნისას, მასწავლებელთა საატესტატო გამოცდების შედეგები?

- როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, უმეტეს წილად, მასწავლებლების კვალიფიკაციის შესახებ მშობლები არც ინტერესდებიან. მეტწილად ისინი სკოლებს არჩევენ ზედაპირულად, იმის მიხედვით, ვის ურჩევენ მეგობრების წრეში. ხშირად მესც მირეკვენ და მეკითხებიან, რომელი

სკოლაა კარგი. აბა, მე რა ვიცი მისთვის რომელი სკოლაა კარგი და, საერთოდ, რას ანიჭებს უპირატესობას და რას ეძახის კარგ სკოლას. უფრო ხშირად კითხულობენ დანაწილებების მასწავლებლებს. მაგრამ, ზოგადად, სკოლის მიმართ მოთხოვნა საზოგადოებაში ძალიან დაბალია. ამის ერთ-ერთი მიზეზი, ვფიქრობ ისიცაა, რომ გვეგონია, საჯარო სკოლა უფასოა და ამიტომაც მოთხოვნებიც ნაკლები უნდა იყოს. კერძო სკოლებში, ამ მხრივ, მშობლები უფრო გააქტიურდნენ, ანუ რადგანაც საჯარო სკოლაში თავისი ხელით არ მიაქვს მშობელს ფული გადასახდელად, ფიქრობს, რომ სწავლა უფასოა. არადა, უფასო არ არის, სახელმწიფო უხდის მის შვილს თანხას, რომ ისწავლოს. ასეთი იდეაც კი მქონდა, რომ მიეცეთ ვაუჩერს მატერიალიზებული სახე და დავურიგოთ მშობლებს, რომ ნელინადმი ერთხელ თავისი ხელით მიიტანონ სკოლაში. დამერწმუნეთ, ამით გავზრდით მშობლის მოთხოვნებს მასწავლებლისა და სკოლის მიმართ და გავუჩინებ მეტ დაინტერესებას.

სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება, განსაკუთრებით კი სოციალურად დაუცველი ადამიანები, ვერ აცნობიერებენ, რომ მათი შვილებისთვის და ოჯახებისთვის ელევაციის, სოციალურად ერთი საფეხურიდან უფრო მაღალ საფეხურზე ტრანზიციის ერთადერთი საშუალება, რომელსაც რაიმე დამატებითი ფინანსური ინვესტიციები არ სჭირდება, გარდა იმისა, რასაც სახელმწიფო აკეთებს - განათლების მიღებაა. კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ არც სახელმწიფო აკეთებს აქცენტს საზოგადოების ინფორმირების ხარისხის ზრდაზე.

- თქვენი აზრით, როგორია დირექტორების პასუხისმგებლობა და წილი მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებაში?

- დღეს დირექტორები შავ დღეში არიან, მათი ერთადერთი სატკივარი ისაა, რომ აუდიტი არ მოვიდეს და შესყიდვებში რაიმე ფინანსური დარღვევა არ აღმოუჩინოს. მაგალითად, არასწორად ნაყიდი ცოცხი, ცარი ან შუშა. ამასობაში კი ყველაზე მთავარი მიღმა რჩება - დირექტორები, როგორც საგანმანათლებლო ლიდერები, ვეღარ პოზიციონირებენ. მათი რუტინული სამსახური იმდენად დატვირთულია, რომ, ფაქტობრივად, საგანმანათლებლო პროცესის გაძლიერებისთვის დრო და ენერჯია აღარ რჩებათ. პრინციპში, ამის მოტივაციაც დაბალია, რადგან მათ არაფერ ეკითხება, როგორ ასწავლიან მათი მასწავლებლები.

მე კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ, რომ დღეს სკოლები ან მასწავლებლები მოსწავლეთა შედეგებით შეფასდნენ. ამის მიზეზებზე ბევრი ვისაუბრე და გამოიკვეთა, რომ, ჩემი აზრით, ყველაზე ცუდი მასწავლებლის მოსწავლეს, რეპეტიტორის დამსახურებით, შეიძლება ყველაზე კარგი შედეგები ჰქონდეს, ასევეა სკოლაც - საუკეთესო შედეგები შეიძლება აჩვენოს ისეთმა სკოლებმა, რომლებიც მოსწავლეებს მხოლოდ თავშესაფრად აქვთ ქცეული, თითქმის არ დადიან, რადგან, დროს რეპეტიტორებისთვის ზოგავენ. ასეთმა სკოლებმა შეიძლება ყველაზე კარგი შედეგები აჩვენონ. ამიტომ უნდა შემუშავდეს დირექტორების მოტივაციის სისტემა. მაგალითად, მასწავლებელს, რომელსაც მიეცემთ ვაუჩერს ტრენინგებისთვის და ის ტრენინგზე მალე შედეგებს აჩვენებს, ამ ვაუჩერსთან დირექტორს, სახალისების მიზნით, მიზნურული - 5 პროცენტი - მიეცეთ. თავისი სკოლის მასწავლებლის წარმატებისთვის მიღებული მცირე თანხა, დამერწმუნეთ, დირექტორის მოტივაციას გაზრდის და ის შეეცდება, რაც შეიძლება მეტი წარმატებული პედაგოგი ჰყავდეს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ შემდეგ დირექტორს მოვთხოვოთ ანგარიშგება, მაგალითად, რა გააკეთა სკოლამ სამოქალაქო განათლების მიმართულებით. ამის შემდეგ, ის ველარ დანიშნავს სამოქალაქო განათლების მასწავლებლად ადამიანს მხოლოდ იმ კრიტერიუმით, რომ მისი მამიდაშვილია, რადგან, პარველ რიგში, თვითონ ჩაფლავდება.

დღეს სკოლაში ანგარიშგაღებულების და მოტივაციის ასეთი სისტემები უნდა განვაითაროთ, სხვა შემთხვევაში არაფერი გამოვა. სკოლა, იცით, რას დემსგავსა? რაღაც შენობას, სადაც ვიღაცები შევლენ, კარს შეიკეტავენ და იქ რა ხდება, ვინ რას აკეთებს და როგორ, მთელი წლის განმავ-

ლობაში, არავინ აფასებს. არავინ არავის მიმართ ვალდებული არ არის, ერთადერთი, მთავარია, ფული არ დახარჯონ არამიზნობრივად, არასწორად.

ჩვენ გვინდა, რომ დამოუკიდებელი მოქალაქეები აღეზარდოთ, მაგრამ ამისთვის მასწავლებელთან საკლასო ოთახში კაციშვილს არ შეუხედავს. სულ რამდენიმე წელია, რაც მასწავლებლებს მოვთხოვეთ, რომ მათემატიკა იცი. ამაზე კი ისეთი ამბავი ატყდა, რომ ქვეყანა დაიქცა, ჩვენზე ექსპერიმენტებს ატარებენო. არადა, მასწავლებელი პირველი უნდა ადასტურებდეს საგნის ცოდნას. მასწავლებლებმა კი, ეს პრესტიჟის შელახვად მიიღეს და ბრაზობენ. თამამად შემოძლია გითხრათ, რომ ეს სულაც არ არის პრესტიჟის შელახვა. მე თვითონაც მასწავლებელი ვარ და ძალიან მიყვარს ის პედაგოგი, ვინც მართლა მასწავლებელია. ვერც ერთ ადამიანს, რომელსაც თავშესაფრად აქვს ქცეული ის პროფესია და ბავშვების დამახინჯებითა და აკაბებული, ვერ დავუძახებ მასწავლებელს და ვერც ლოიალური და ლმობიერი ვიქნები მის მიმართ. ეს ცალსახაა. რაც მთავარია, მასწავლებლის რეპუტაციას ვერც გამოქვეყნებული რეიტინგები და გამოცდაზე ჩაჭრილთა პროცენტები, ვერც ჩემნაირი ადამიანების საუბარი ვერ შელახავს, მათ პრესტიჟს, ყველაზე მეტად ჩრდილს თვითონ ის მასწავლებლები აყენებენ, რომლებიც თავის საქმეს კარგად ვერ აკეთებენ. არაკვალიფიციური მასწავლებლის შესახებ სკოლიდან ამბის გამომტანი ნახევარი მილიონი მისწავლა, ჩემნაირი ადამიანი კი რამდენიმეა. ამიტომ, თვითონ პროფესიონალმა მასწავლებლებმა უნდა ამოიღონ ხმა, მოითხოვონ არაპროფესიონალთა კვალიფიკაციის ამაღლება და ჩემზე კი არ უნდა გაბრაზდნენ, არამედ სწორედ იმ კოლეგებზე, რომლებიც მათ ჩრდილს აყენებენ.

- მოგონთ თუ არა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ახალი სქემა?

- სქემის იდეა, ზოგადად მომწონს. მასწავლებლებმა საქმით, ცოდნით უნდა დაადასტურონ თავიანთი კვალიფიკაცია. სქემა პილოტირების რეჟიმში იყო და, თავისთავად, მუშაობის პროცესში გამოჩნდა ხარვეზებიც, უფრო მეტად დასახვეწია. მაგალითად, ჩემი აზრით, არ არის საპარტნიორო, დოქტორის ხარისხის მქონე მასწავლებლებს უფროსი მასწავლებლის სტატუსი რომ მისცეს. შესაძლოა, ადამიანს შამქორის ბრძოლის სტრატეგიები წარმატებით ჰქონდეს დაცული დისერტაცია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი კარგი პედაგოგია და იმ მასწავლებელზე უკეთესია, ვისაც დისერტაცია არ აქვს დაცული, მაგრამ ნლების განმავლობაში მუშაობს სკოლაში. სკოლის შიგნით უფრო კარგად ჩანს და თავად მასწავლებლებმა იციან, ვინ არის კარგი მასწავლებელი. ჩემს სკოლაშიც ასწავლიდნენ ხარისხის მქონე მასწავლებლები, ხშირად, მათ გაკვეთილებზე ყირაზე იდგნენ მოსწავლეები და კლასის მართვასთან დაკავშირებული პრობლემის მოსაგვარებლად იმ მასწავლებლებს ეძახდნენ, ვისაც ხარისხი არ ჰქონდათ, მაგრამ გაკვეთილებზე უკეთესად ვალდებდნენ პედაგოგის უნარებს და მათგან განსხვავებით, ძალიან მარტივად აგვარებდნენ მსგავს პრობლემებს. ამიტომაც ვამბობ, რომ მასწავლებლის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი უნდა იყოს ცოდნა. მხოლოდ ინტუიციამდე დაყრდნობით განაკეთებენ ჩატარება არ მიმართა სწორად. მასწავლებელი აუცილებლად უნდა ერკვეოდეს სწავლების პედაგოგიურ მეთოდებში, იმაში, თუ როგორ მართოს კლასი, შეძლოს კომუნიკაციის სტრატეგიების გამოყენება, მოსწავლესთან მუშაობდეს ინდივიდუალური მიდგომებით და ა.შ. არ ვამბობ, რომ მას აუცილებლად თეორიების სიღრმისეული ცოდნა მოვთხოვოთ, მაგრამ ელემენტარული პრაქტიკული საკითხები უნდა ესმოდეს. რასაკვირველია, მასწავლებლის შეფასებისას პირველ ადგილს საგნის ცოდნა იკავებს, ეს აუცილებელი პირობაა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი კრიტერიუმი მისი მოქმედების შეფასება გაკვეთილზე.

ესაუბრა
ლალი ჯეღაძე

ბუნება, როგორც სასკოლო და საბანანათლებლო რესურსი

ცნობილი ფაქტია, რომ თუ ერთ წუთს ბავშვს შეუძლია „შვლის ნუკრის ნაამბობის“ ნაკითხვისას გულამოსკვნით იტიროს, სიბრაღით მოვიყვებს, როგორ ჩამოვარდა ბუდიდან მერცხლის ბარტყი, როგორ იტივინა ფეხი მისმა საყვარელმა ძაღლმა თუ კატამ, მეორე წუთს შეუძლია, აგრესიული იყოს – მოკლას ჩიტი შურდულით, ფრთები დააგლიჯოს პეპელას, დაამტვრიოს ხის ტოტები და ა.შ. აღსანიშნავია ისიც, რომ ბავშვებს შეუძლიათ რეალურად განსაზღვრონ სხვათა ცუდი ქმედება, დაგმონ თანატოლთა არასწორი საქციელი, მაგრამ, ამავე დროს, შეუძლიათ, თავად უარესი გააკეთონ. როდესაც მესაფერის სიტუაციაში დაგვი შეკითხვა: „მოდით, ვიყოთ გულახდილნი, თუ ჩავიდენიათ სისასტიკე ბუნებასთან მიმართებაში?“ გამოაცხადებინა პასუხებმა: „ერთხელ მე და ჩემმა ამხანაგმა ბაყაყი დავიჭირეთ და შპრიცით გავბერეთ“, „ერთხელ მე და ჩემმა მეზობელმა ჭიკაძეებმა დავიჭირეთ, ზოგი კილაში დავწვიეთ, ზოგიც გავფატრეთ და დავანაკუნეთ“, „მე ერთხელ პეპელას ფრთები და ფეხები დავაგლიჯე“, „მე ერთხელ პეპლები დავიჭირე და დავწვი“, „მე ჩიტს თავი წავაგლიჯე“, „მე ლუბით ბაყაყი ავაბოლე“ – ამ სისასტიკის მოყოლას ერთმანეთს არ ავადდენენ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი უმცროსკლასელი ნანობდა თავის საქციელს და ამბობდა, რომ ასეთი რამ მას მეტად არ ჩაუდენია.

უმცროსკლასელები, თითქოს გზის გასაყარზე დგანან, რომელი გადაძალავს – ბუნების სიყვარული და მზრუნველი დამოკიდებულება თუ ბუნებისადმი გულგრილი, ინდიფერენტული დამოკიდებულება – დიდნივლიად, მასწავლებლის ოსტატობაზეა დამოკიდებული. მხოლოდ მონოდები – „არ მოვჭრათ!“, „არ დავაზიანოთ!“, „გავფრთხილოთ!“ და ა.შ. – მეტისმეტად გამარტივებული მიდგომაა და შედეგს ვერ გამოიღებს, თუ ბუნების მიმართ დამოკიდებულება არ შეიცვალა.

არაფერი იქნება ახალი და საკამათო, თუ ვიტყვით, რომ ბუნებასთან უშუალო, ხშირი კონტაქტი მთავარი პირობაა უმცროსკლასელთა ბუნებისადმი ჰუმანური დამოკიდებულების აღსაზრდელად, რადგან ბუნება ცოდნის მიღების პირველწყაროა და, ამავე დროს, ღრმა ემოციებს აღუძრავს ბავშვს.

შემთხვევითი არ იყო, რომ დიდმა პედაგოგმა და ჰუმანისტმა ვასილი სუხომლინსკიმ თავისი აღსაზრდელები კლასში კი არ შეიყვანა, არამედ საკლასო ოთახი მოაწყო „მტრედისფერი ცის ქვეშ“. „ბავშვების მდებარეობა გაყვანა, მათთან ერთად ტყეა თუ პარკში გასეირნება გაცილებით ძნელი საქმეა, ვიდრე გაკვეთილის ჩატარება“ – წერს ის.

ერთ ღამე, მზიან დღეს, პატარა და-ძმას სკოლის მაგივრად ბუნებაში ავზავინს იაკობ გოგებაშვილიც, რადგან დიდმა პედაგოგმა იცის, რომ ბუნება ის ლაბორატორიაა, სადაც ბავშვი არა მარტო ცოდნას იძენს, არამედ გარკვეულ უნარ-ჩვევებსაც.

წლის ყველა დროს ჩვენ რამდენჯერმე გავდივართ ბუნებაში, ანუ, როგორც თავად ბავშვებს უყვართ თქმა, ბუნების დასალაშქრად მივდივართ. ჩვენი სოფლის მდებარეობა

ამაში ძალიან გვიწყობს ხელს. სოფლის ჩრდილოეთით, დაახლოებით ექვს კილომეტრში, ალაზნის პირზე, ჭალის ტყეა, ხოლო ჩრდილოეთით, ორ კილომეტრში, ცივკომბორის მთის ნაწილი სოფლის ტერიტორიას ეკვრის. სკოლიდან 150 მეტრში კი, ჩვენი საყვარელი შუალატყეა. თითქმის შემოვლილი გვაქვს შვინდანანის, ვერხვიანის, მამადავითის, ნახიზნარის, ქოჩორა მუხის, ჭალის ტყის მიმდებარე ტერიტორიები.

წინასწარ, ერთი კვირით ადრე, ბავშვებთან ერთად ვგეგმავთ მარშრუტს. ამ პროცესში მონაწილეობა განსაკუთრებით მოსწონთ. ვიმარაგებთ დურბინდს, ბურთს, ბადმინტონს, ფოტოპარატებს, სახატავ ფურცლებს, ფერად ფანქრებს.

თითოეული ლაშქრობის მიზანია, გაცენოს ბავშვი იმ ტერიტორიის ფლორასა და ფაუნას, სადაც მიგვყავს, დააკვირდეს ბუნების ცვლილებას სეზონურობის შესაბამისად, დატკბეს ბუნების სილამაზით, ითამაშოს ბავშვებთან ერთად, განიცადოს სიხარული. ბავშვობის წლებში სიხარულის განცდას სუხომლინსკი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა: „პიროვნების ზნეობრივი სახე საბოლოოდ დამოკიდებულია იმაზე, თუ რა წყარო კვებავდა მის სიხარულს ბავშვობის წლებში“ – წერს ის.

ბავშვებს ძალიან უყვართ და ყოველთვის მოუთმენლად ელიან ბუნებაში გასეირნებას. აქ საუკეთესო პირობებია კვლევისთვის, სწავლისთვის, თამაშისთვის, დასვენებისა და გაჯანსაღებისთვის. ბავშვები დაუსრულებლად მსჯელობენ ბუნებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებზე, უმტიციებენ ერთმანეთს სხვადასხვა მოსაზრებებს, უყვებიან, კამათობენ.

ყოველი გასვლის წინ, კლასის ხელმძღვანელთან ერთად, ვადგენთ არა მარტო საერთო გეგმას, არამედ პირად გეგმასაც. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ სად მივდივართ, როგორი ლანდშაფტია, რა სახის მცენარეებს და ცხოველებს შევხვებით იქ. ამის შესაბამისად ვარჩევთ საუბრის თემასაც. თუ უცნობ ადგილზე მივდივართ, მოსახლეობისგან (ვინც ტერიტორიებს კარგად იცნობს) ვიღებთ კონსულტაციას.

ზოგჯერ სიტუაცია გვეკარნახობს, თუ რა საკითხზე შეიძლება გავამახვილოთ ყურადღება. მაგალითად, ერთი გასეირნება მაინის თევზი, მეოთხეკლასელებთან ერთად, ქოჩორამუხაზე მოვანყვეთ. ქოჩორამუხა ჩვენი მოსაზრებულ სოფლის, ქვემო ხოდასნის თავში, მაღალ გორაზე დგას. ის ორივე სოფლიდან კარგად მოჩანს. იქიდან ისე მოგვინა დაბრუნება, რომ სოფლის თავში ყანები უნდა გადმოგვევლო. ყანები თუ მინდვრები ყვავილებით იყო საესე. ბავშვები ყვავილებს შეესივნენ, კრეფდნენ და თავიულებს მოარბენინებდნენ ჩემთან. ისეთი სიხარულით მიძღვნიდნენ, რომ არ მინდოდა მოწოდებებით („არ მოწყვიტო, ცოდოა“ და ა.შ.) მათი განწყობა გამეფუჭებინა. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ, ჩვენი შრომის მიუხედავად, ვერ მივალნივთ, ბავშვებს ბუნებაში ქცევის კულტურა გამოუმუშავებოდათ. რა თქმა უნდა, ეს პროცესი ასე ადვილი არც არის.

მუხის ჩრდილში დავსხედით დასასვენებ-

ლად. ცოტა ხანში ყვავილებმა ჭკნობა დაიწყო, საბაბი უკვე მქონდა და ბავშვებს მივმართე: „ნახეთ, როგორ მოიწყინეს ყვავილებმა, სახლამდეც ვერ მიაღწევს, რომ წყალში ჩავანყოთ, დატკნებთან. ჯობდა, არ მოგვეკრიფათ. რა ღამაში იყო მინდორი, როდესაც ეს ყვავილები ამშვენებდა“. ბავშვები სულგანაბული მისმენდნენ.

– მოგწონთ ეს თაიგული? – ვკითხე მათ, – მოგწონთ ყურებჩამოყრილი, დამტკნარი ყვავილები?

– არა, არ მოგწონს.

– ჩვენ თქვენი გახარება გვინდოდა.

– ყვავილები არ უნდა მოვწყვიტოთ? – ახმაურდნენ ბავშვები.

– რა თქმა უნდა, ბავშვს არავინ უკრძალავს, მოწყვიტოს ყვავილი, შეეხოს მას. დედის დღეს, დედას იის კონაც უნდა მიართვათ და მასწავლებელსაც მიუტანოთ ყვავილები, მაგრამ ამდენი ყვავილის გაფუჭება ცუდია. ერთნაირად გამიხარდებოდა თქვენგან ერთ ღერს მომართმევდით თუ ამხელა თაიგულს. მე მგონი, ყვავილის ერთი ღერი ან პანანინა თაიგულიც საკმარისია იმისთვის, რომ მეგობარს, დედას, ახლობელს ასაიმოვნოთ.

მიხვდით, თუ კიდევ გავაგრძელებდი, ბავშვებს გულს ვატკენდი, მათ ხომ მართლაც ჩემი სიამოვნება უნდოდათ, ამიტომ გამომეტყველებდნენ შევიცვალე, მზიარული სახე მივიღე და გავაგრძელებე:

– ძალიან მაძლობელი ვარ, მაგრამ ალბათ უფრო გამახარებთ, თუ შემდეგ ვაკვეთილზე თხზულებას მომიტანთ სათაურით – „გაზაფხულის ერთ მზიან დღეს“, შეგიძლიათ სხვა თემა შეარჩიოთ.

ბავშვები იქვე იწყებენ სათაურების შერჩევას: „სტუმრად ქოჩორამუხასთან“, „ჩვენი მასპინძელი ქოჩორამუხა“, „ვარდობისთვის ერთ მშვენიერ დღეს“ და ა.შ. შემდეგ მათ შევთავაზებთ იდეა, ყვავილები გიორგის ძმის საფლავზე მიგვეტანა. ჩვენ გზად აუცილებლად სოფლის სასაფლაო უნდა გამოვიაროთ. ყოველთვის შევდივართ, ბავშვები თავიანთი ახლობლების საფლავებს შემოირბენენ, იქვე მდგარ სვეტიცხოვლის ბაზილიკაში სანთლებს ვანთებთ, შემდეგ სასაფლაოს ბოლოში, წყაროსთან ჩამოვსხდებით და ვისვენებთ. პატარებს ხასიათი უფუჭდებდათ და ხალისს კარგავენ, მაგრამ მე არ მეცოდება ისინი წუთიერი ჩაფიქრების, სინანულისა და მონატრებისთვის. წინაპართა საფლავების პატივისცემის გარეშე, შეუძლებელია ბავშვის პატრიოტულ და ზნეობრივ აღზრდაზე ვილაპარაკოთ. წინაპართა საფლავებიდან იწყება სამშობლოს სიყვარული. აკი ასეც დაგვმოძღვრა იაკობ გოგებაშვილმა: „პატარა და ღარიბია ჩემი სოფელი ვარიანი, მაგრამ მე ის ძალიან მიყვარს იმიტომ, რომ იქ მარხები ჩემი წინაპრები, ძმები და ნათესავები.“

სასაფლაოდან გამოსული ბავშვები უცებ იცვლიან ხასიათს და ისევე ხალისიანები ხდებიან. მათი ყრიაშული არემარეს იკლებს, მზიარულად ესალმებიან მინდორში მომუშავე ხალხს.

შემდეგ ვაკვეთილზე ბავშვებმა სხვადასხვანაირად დასათაურებელი თხზულებები მოიტანეს და არც ყვავილებთან დაკავშირებული ჩვენი საუბარი დავიწყებოდათ.

სხვადასხვა დროს ლაშქრობები მოვანყვეთ შვინდანანში და ვერხვიანში. ეს ტერიტორიები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოფლიდან ორ კილომეტრში მდებარეობს. ვერხვიანში გაზაფხულზე გვყავდა ბავშვები, ხოლო შვინდანანში შემოდგომაზე, ამიტომ მათ ნახეს როგორც გაზაფხულის, ისე შემოდგომის ტყის მშვენიერება.

ბუნებაში გასვლისას უმცროსკლასელები ურთიერთობებსაც სწავლობენ. თუ სკოლაში გოგონები და ვაჟები ხშირად კინკლაობენ, ბუნებაში თითქოს სხვანაირები ხდებიან. მართალია, ბიჭებს თავიანთი საესე გუდების ტარებაც უჭირთ, მაგრამ ხშირად ესმარებიან გოგონებს ტვირთის ზიდვაში, გზის რთულ მონაკვეთზე ხელს აშველებენ.

გზადაგზა, სადაც განსაკუთრებით ლამაზი პეიზაჟი გვხვდება, ვჩერდებით. ბავშვები სურათებს იღებენ. ყოველი ლაშქრობის შემდეგ აუცილებლად ვანყობთ ფოტოგამოფენას როგორც კლასში, ასევე სკოლის დერეფანში.

სანამ ტყეში შევიდოდეთ, ბავშვებს ვაცნობთ ტყის მიმდებარე ტერიტორიის მცენარეებს. მათ იციან, რომ აქ ძირითადად ბუჩქნარია: ჯაგრცხილა, კუნელი, მავალი, ჭანჭყატი. შემდეგ ტყეში შევდივართ, სადაც ბევრია პანტა, მაჟალო, შინდი, უფრო შიგნით – მუხა, რცხილა, ნიფელი და ა.შ. ბევრ ხესა და ბუჩქს ბავშვები უკვე კარგად ცნობენ. ინტერესით აკვირდებიან ჭიანჭველების ფუსფუსს, მწერების მიმოფრენას, უსმენენ ჩიტების ჭიკჭიკს. კიდევ ერთხელ ვახსენებთ უმცროსკლასელებს თანასაზოგადოების ცნებას, კვებით კავშირებს და ვაცნობთ ახალ ტერმინს – იარუსიანობა.

ბოლოს ტყიდან შვინდანანის მინდორზე გავდივართ, საიდანაც ხელისგულივით მოჩანს კავკასიონის მთები და მის ძირში დაცემული ალაზნის ველი. ბავშვები აღფრთოვანებაში მოყვანს კავკასიონის მთებს და მის სიდიადესთან საოცრად შეხამებული ალაზნის ველის მშვენიერებას. ჩვენ მხოლოდ ორი დურბინი გვაქვს, მოსწავლეები ერთმანეთს ხელიდან სტაცებენ.

– მასწავლებლო, სხვადასხვა ადგილიდან სხვადასხვა ფერია კავკასიონის მთები, – ამჩნევს ერთ-ერთი მოსწავლე.

– მოდით, ერთი სიტყვით დავახსიანოთ კავკასიონის მთები, ვინ რა სიტყვას მოიგონებს – ვთავაზობ ბავშვებს.

– ზვიადი, დაიდი, ნარმტაცი, ცივი, თოვლიანი, ამაყი, გორიზი, იდუმალი – ყვირიან ბავშვები.

– ქლიავისფერი – სიტყვას ვაშველებ მათ. შემდეგ ბავშვებს ვყოფ ჯგუფებად და ვინყებთ შეჯიბრს, რომელი ჯგუფი მეტ ლექსს გაისვენებს ბუნებაზე. სტიქიურად მოგვდის იდეა, რომ უმცროსკლასელებმა მოაწყონ სასკოლო ღონისძიება – პოეზიის დღესასწაული, დევიზით: „მე რომ მკითხოხონ, რა გინდა, რომ შედინიერი გახდეს კაცი? – ვუპასუხებ: საქართველოს ეს ბუნება თვალნარმტაცი“.

რა თქმა უნდა, მოსწავლეებს შეუძლიათ სხვა დევიზი მოიფიქრონ, მაგრამ ამჯერად ჩვენი შეთავაზება მოსწონთ და უცვლელად ტოვებენ. აქვე დაგვებად იდეა, ღონისძიებაზე მოვიწვიოთ საბავშვო ბალის აღსაზრდელები და მათი მშობლები.

როგორც ყველა ლაშქრობის ბოლოს, მოსწავლეებს ამუშავდაც ვთხოვ თხზულების დაწერას, მაგრამ ამჯერად სათაურს არ ვთავაზობ, მინდა, თავად დაასათაურონ თხზულება.

ვინაიდან ბავშვების ნახატებში კარგად ჩანს მათი ემოციური სამყარო, შევთავაზებ, დაეხატათ პეიზაჟი, რომელმაც მათზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ისინი სხდებიან მინდორზე, მუხლებზე იდებენ სახატავ რეკულებს და იწყებენ ხატვას.

შემოდგომაზე ლაშქრობა მოვანყვეთ ვერხვიანში და ჭალის ტყეში. უმცროსკლასელებმა თვალნათლივ ნახეს განსხვავება მთის, ტყისა და ჭალის ტყის მცენარეებს შორის, სხვაობა მთისა და მინდორის ლანდშაფტებს შორის, თუმცა ერთხმად აღნიშნეს, რომ მთის ტყე უფრო ლამაზია.

ბუნებაში ყოველი გასვლის დროს თვალნათლივ ვხედავდით, როგორ იზრდებოდა უმცროსკლასელთა ცოდნა ბუნების ობიექტებსა და მოვლენებს, როგორ იხვეწებოდა მათი ქცევა ბუნებაში. პირველკლასელები უფრო ახლო მანძილზე გავყავდა. ბუნებაში ვაკვეთილის და ლაშქრობის დროსაც, უფრო მეტად ემოციურ მხარეზე ვამხავილებდით ყურადღებას, ვიდრე შემეცნებითზე. თუმცა, წლის ბოლოს მათ უკვე გარკვეული ცოდნა ჰქონდათ ბუნებაზე, წერდნენ პატარ-პატარა თხზულებებს, გაიზარდა მათი ნაკითხობა, დაეხვეწათ გემოვნება. ისინი ხშირად ითხოვდნენ ბუნებაში გასეირნებას და ვაკვეთილის ჩატარებას.

მანანა ბოჭორიშვილი
თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. ბუშეტის საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი



საუბრაში ლიტერატურაზე

ბარათაშვილისა და ბაირონის მემბროხე სული – რომანტიზმის მებრძოლი სულისკვეთება

„ჩემი თვლელა ხომ ძილი არ არის, იგია მხოლოდ შეუპოვარ ზრახვათა დენა, რომლის დაძლევა და შეწყვეტა არ შემძლიან.“ ბაირონი („მანფრედი“)

„შეუპოვარ ზრახვათა დენის“ გამო ხშირად აკავშირებენ ბარათაშვილის „მერანსა“ და ადამ მიცკევიჩის „ფარისს“, თუმცა ვფიქრობთ, ბარათაშვილს მეტი სულიერი სიახლოვე აქვს ევროპული რომანტიზმის კლასიკოს ბაირონთან. ბაირონის მემბროხე, მებრძოლი სულისკვეთება და ბარათაშვილის თავგანწირვა და შეუპოვრობა მეტად ენათესავება ერთმანეთს, ვიდრე მიცკევიჩის ლექსისა და „მერანის“ სიუჟეტური ქარგა. ბაირონი წერს: „გულში დარაჯი მყავს ფხიზელი, თვალებს ვხუჭავ მხოლოდ მისთვის, რომ თვალთახედვა მიემართო შიგნით“. ბარათაშვილის გიჟური სრბოლა და სწრაფვა საზღვრის გადალახვისთვის სხვა არაფერია, თუ არა გაქცევა საკუთარი სხეულისგან და საკუთარი სულის, ხვედრის ძიება მიღმურ სამყაროში (ანუ თვალთახედვის მიმართვა შიგნით). შოპენაუერის პესიმისტური ფილოსოფია, რომლის მიხედვითაც, ადამიანის ბრძოლა ბედთან და სამყაროში არსებულ კანონზომიერებასთან უაზრობაა და ადამიანმა მთელი ნებისყოფა იქით უნდა მიმართოს, რომ დათრგუნოს საკუთარი სურვილები, ვნებები და ბედნიერება არ ეძებოს ანმყოში, გარკვეულწილად, ეხმიანება ბარათაშვილის თვალსაზრისს. მაგრამ გერმანელი სკეპტიკოსის აზრებს ეწინააღმდეგება ქართველი რომანტიკოსის ხედვა: თუმცა ადამიანური ბედნიერება წამიერია, რადგან ბედნიერება მხოლოდ ის არის, რაც ანმყოშია და ანმყო კი ძალზე სწრაფად ქრება, მაინც შემოქმედი ადამიანის მისია მნიშვნელოვანია ამქვეყნად, რადგან ხელოვანის არსებობა სხვათათვის სიცოცხლის დაუმრეტელი წყაროა და მას შეუძლია, მომავალი თაობა დაარწმუნოს ერთ მარტივ ჭეშმარიტებაში: თავად ადამიანობაა ბედნიერება!

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვეციან – შვილნი სოფლისა, უნდა კიდევცა მივიღოთ მას, გვეცემას მშობლისა. არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!“ ესაა ბარათაშვილის მრწამსი, თუმცა მიზნისაკენ სავალ გზაზე, სხვათა დარწმუნების კვალდაკვალ, შემოქმედთ ხშირად იპყრობთ სასწრაფო კეთილ და პესიმისტში. ბაირონი წერს: „სიცოცხლე ჩემთვის განუსაზღვრელი უდაბნოა, ყრუ და ველური, ნაპირი ზღვისა, სადაც მხოლოდ შიშველ ქვიშაზე ტალღები კვნესით გამოჰყრიან დამსხვრეულ ანძებს.“

დამსხვრეული ანძები ხომ ბარათაშვილის ოცნებები და მიზნებია, რომელთა აღსრულება მან ვერ მოახერხა. მისთვისაც ყრუ და ველური უდაბნოა ცხოვრება, სადაც თავშესაფარი ვერ ჰპოვია ობოლმა მწირობა: „ძნელი არის მარტოობა სულისა, მას ელტვიან სიამენი სოფლისა.“

„მაინც რა არის ჩვენი ყოფა-ნუთისოფელი, თუ არა ოდენ სანაყაული აღუვსებელი?“ „ჩვენი არსებობის მიზნის მიუწვდომლობამ, ადამიანის სურვილთა უსაზღვრობამ და ყოველივე ამქვეყნიურის ამბოვებამ საშინელი სიცარიელით აღავსეს ჩემი სული“ – წერს ქართველი პოეტი და ინგლისელი ლორდი პასუხობს: „მე სული დამელაა ნაღველის ფარვით, არასდროს ვულით არ შემეძლო ადამიანთა შეთვისება. ჩემთვის სრულიად უცხო იყო მათი მიზნები.“ ვინ ცდილობს, დაეპატრონოს დაღლილ სულსა და დამსხვრეულ ოცნებებს? ვის სურს, ეჭვებითა და მწუხარებით გათანგოს ისედაც მჭმუნვარე პოეტი? ბარათაშვილი „სულის მშვიდობას“ დაეძებს ყველგან:

„სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად, ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად? მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა, რისთვის მომიკალ ყმანვილის ბრმა სარწმუნოება?“ ბაირონიც მძაფრად განიცდის მარტოობას და სულიერ ობოლობას: „ლომი მარტოა უდაბნოში, მეც მარტოდა ვარ“; ისიც მარტო ეზიდება ოცნებების ტვირთსა და ამაყ სულს; სიცოცხლე ამძიმებს და „ძლივსა უძლებს მის უტლანქეს დაწოლას გული“; ფარულად სიკვდილს ნატრობს, თუმცა თან გაურბის მას, როგორც სიცოცხლის აჩრდილს; ვერსად ისვენებს, „თვით არ ვიცი, რას ვეძებ, რა მსურს“; მაინც ამაყად უჭირავს თავი, ტანჯვას უმორჩილებს ნებისყოფას; მის გემს აფრები დაეფლითა ბედთან ბრძოლით, მაინც წინ მიიწევს: „სალამი ღელვას – დე, ტლაშუნი გრიგალის ფრთისა მიფლეთღეს აფრას, მაინც კიდევ წინ ვივლი მარად!“

ბარათაშვილსაც გული ეფლითება სევდიან ბედთან ჭიდილში, მაინც არ ცხრება, მის სულსაც ეჯავრება ცხოვრება წყნარი (როგორც ბაირონს), მისი წადილი უკიდევანოა, მარადისობასთან ნილნაყარი შემოქმედის სრბოლაა საცალფეხო გზის გასაკვალად: „ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება.“

რომ ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს.“

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ბარათაშვილისა და ბაირონის სულიერი ნათესაობა და მსოფლმხედველობის თანხვედრა თვალსაჩინოა ბუნებისადმი დამოკიდებულებაშიც. ორივე რომანტიკული განწყობით ახასიათებს ბუნებას, როგორც მესაიდუმლესა და მწუხარე სულის თანაზიარ მეგობარს. ბაირონი ამბობს ჩაილდ ჰაროლდზე: „იქ იყვნენ მისნი მეგობარნი, სადაც მთებია, სამშობლოდ უჩნდა ოკეანის გაშლილი ვული, იქ, სადაც ლაჟვარდს მზის აღმური ნაჰკიდებია, სახეტიალოდ მიილტვოდა იმისი სული.“ ტატოს სევდასაც აქარვებს მზუნაქიდეული ლაჟვარდი და მობუტბუტე მტკვარი („ფიქრნი მტკვრის პირას“) ან წყნარი საღამო და მთაწმინდის იდუმალება („შემოღამება მთაწმინდაზე“).

„წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად, აქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად; აქ ლბილს მდელით ზედასწვდომ ვინამე ცრემლით, აქაც ყოველი არემარე იყო მოწყენით.“ („ფიქრნი მტკვრის პირას“) სწორედ მაღლა, ცისა და ღრუბლების სიახლოვეს ეძიებს და პოულობს კიდევ შესაფერ ნავსაყუდელს ორივე მგოსანი და იღებს ღვთაებრივ ჯილდოს მარადისობისაგან, ჯილდოს, რომელიც უძნელეს ზედასვლისათვის ერთია მხოლოდ – სიყვარული კაცთა მოდგმისა და მზე დიდებისა. „მას, ვისაც ასვლას დიდ მწვერვალზე არ უშლის დაღლა, თხები დახვდება თოვლითა და ნისლით ბურვილი, ვინც კაცთა მოდგმას დაეუფლა, ასული მაღლა, მეფობს მისდამი დაბლა მტრობა და სიძულვილი. ნათელს ასხურებს მას ზემოდან მზე დიდებისა.“ ბაირონი („ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა“) ორივე რომანტიკოსი დაღალა იმ მტრობამ და სიძულვილმა, უბრალო მოკვდავთ რომ უჩნდებათ ხოლმე რჩეულთა მიმართ, მაგრამ ისინი არ დაილაღნენ საკუთარი მიზნის ერთგულებითა და კაცობრიობის სიყვარულით! აკი ავიდნენ კიდევ მთასა მაღალსა და იქ დაემკვიდრნენ...

ქაიოი ქაითამაძე თბილისის 72-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი

ინფორმაცია

წარმატებული FLEX-ელები

სკოლა საზოგადოების განუყოფელ და მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. სწორედ საგანმანათლებლო დაწესებულება ასახავს იმ ღირებულებებსა და მისწრაფებებს, რაც საზოგადოებაში არსებობს. ფასეულობათა ცვლილებამ, ტექნიკურმა პროგრესმა და მრავალმა ფაქტორმა განათლების სისტემა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. სწავლა გახდა მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებული პროცესი, რომელიც მათ მინაგან მოთხოვნილებებთანაა დაკავშირებული. არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა „ოცნება“ თითოეულ მოსწავლეს ხელს უწყობს წარმატების მიღწევას, რასაც სკოლის კულტურის დაცვით, ზრუნვით, თანამშრომლების პროფესიული ზრდისა და მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო პროგრამების ათვისების უზრუნველყოფით აღწევს. ჩვენი სკოლის წარმატებული საქმიანობის ღირსეული მაგალითია მოსწავლეთა ოლიმპიადებში, ტურნებსა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა. თავისი არსებობის მანძილზე (დაარსდა 2000 წელს), სხვადასხვა წლებში, მომავალ ღირსეულ გაცვლით პროგრამის (FLEX) 6 გამარჯვებული მოსწავლე ჰყავს. ისინი დღესაც განაგრძობენ წარმატებულ საქმიანობას თავიანთ კარიერულ ცხოვრებაში.

გოგა ბზიკაძე 2009-2010 წლებში FLEX-ის გამარჯვებული გახლდათ. ეს იყო მისი პირველი წარმატება, რომელმაც ხელი შეუწყო მასში ლიდერის თვისებების ჩამოყალიბებას.

„აიხეკი“ ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს განავითარონ ლიდერული პოტენციალი, რათა დადებითი გავლენა იქონიონ საზოგადოებაზე. 2014-2016 წლებში გოგა ვილნიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრი გახდა, მარკეტინგისა და ინტეგრირებული კომუნიკაციების სპეციალობით (ლიტვის მთავრობის გრანტი: სწავლის მთლიანი საფასური + სტიპენდია). მეთექვსმეტე მარია დანგაძემ კონკურსით 2010-2011 სასწავლო წელს მიიღო მონაწილეობა. „FLEX იყო დასაწყისი ჩემი წარმატებისა, რომელმაც ნამდვილად შეცვალა ჩემი ცხოვრება“ – წერს მარია დანგაძე. ამის შემდეგ, 2012 წელს, სრული სახელმწიფო დაფინანსებით თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტში ჩააბარა, ბიზნესის ფაკულტეტზე. მე-2 კურსზე მონაწილეობა მიიღო საქართველოს ბანკის მიერ გამოცხადებულ კონკურსში, მოხვდა 5 საუკეთესო სტუდენტს შორის და დასაქმდა ბანკის კორპორატიულ დეპარტამენტში. ერთი წლის შემდეგ შემოთავაზება მიიღო საერთაშორისო აუდიტორული კომპანიისგან „Ernst & Young“, რომელსაც აღნიშნულ სფეროში, მსოფლიოს მასშტაბით, მესამე ადგილი უჭირავს. მარია კარიერულ განვითარებას ფინანსების სფეროში აპირებს და უცხოეთში სწავლის გაგრძელებასაც გეგმავს. 2010-2011 სასწავლო წელს FLEX-ში მონაწილეობა მიიღო და YCD პროგრამით აშშ-ში გაემგზავრა გოგა ჩირგაძე. წარმატებულმა FLEX-ელმა სწავლა განაგრძო თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების ფაკულტეტზე, სადაც ეუფლება სოციალურ მეცნიერებებს: სოციოლოგიას, ანთროპოლოგიას, პოლიტიკურ იდეოლოგიებს, სამართლის, ფილოსოფიის საფუძვლებს.

სწავლობს იაპონურ და ესპანურ ენებს. 2015 წლის ზაფხულში გიგა ბუდაპეშტში მიინვიეს, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში, კონფერენციაზე. კონფერენციის თემა გახლდათ „იმპერია და ერი“, სადაც გიგამ მოხსენება წარადგინა თემაზე: „ქართული ნაციონალიზმის ჩამოყალიბება“. 2011-2012 წლებში ეკა მალაფერიძე გახდა გაცვლითი პროგრამის (FLEX-ის) გამარჯვებული და სასწავლებლად ამერიკის შეერთებული შტატებში გაემგზავრა, კერძოდ, კალიფორნიის შტატში. წარმატებით დაამთავრა სკოლა, მოხვდა წარჩინებულ მოსწავლეთა სიაში და აქვს ამერიკული დიპლომი. აშშ-ში სწავლის პერიოდში გაცვლით სტუდენტთა შორის ჩატარებულ ესეების კონკურსში გაიმარჯვა და მონაწილეობა მიიღო ერთკვირიან სამოქალაქო განათლების პროგრამაში ვაშინგტონში, გაიარა ერთკვირიანი ტრენინგი ფინანსური დაგეგმარების პროგრამაში, კალიფორნიის შტატში. 2012-2015 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე. ამ ხნის განმავლობაში იყო პრეზიდენტის სტიპენდიისა და შიდა დაფინანსების მფლობელი, ასევე ერთწლიანი სტიპენდიით დააფინანსა კომპანია „სოკარმა“. 2015-2016 წლებში მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო საგრანტო პროექტში „ბიზნესის ტექნოლოგიური გარემო საქართველოში და მისი გავლენა ექსპორტის გლობალურ კონკურენტუნარიანობაზე“, რომლის დონორია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2016 წელს გამოქვეყნდა მისი ნაშრომი „საერთაშორისო ბიზნესის ტექნოლოგიური გარემო“, რომელიც წარდგენილ იქნა XI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე

სტუდენტების და ახალგაზრდა მეცნიერებისათვის („სოციალურ-ეკონომიკური სისტემის პრობლემები გლობალურ და ნაციონალურ ეკონომიკაში“). 2015-2016 სასწავლო წელს გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამის გამარჯვებული და სტიპენდიანტი, რის შედეგადაც სასწავლებლად 1 წლით გაემგზავრა ნორვეგიაში, ოსტფოლდის უნივერსიტეტში. სასწავლო წლის დასრულებისთანავე გადაეცემა ნორვეგიული საგანმანათლებლო სისტემით აღიარებული ბაკალავრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში. 2013-2014 წლებში FLEX-ის გამარჯვებული გახდა ანა გრძელიშვილი. ამჟამად თბილისის ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტია და მრავალი ღონისძიების სერტიფიკატს ფლობს. 2015-2016 სასწავლო წელს FLEX-ის პროგრამის გამარჯვებული გახდა ანა მოსესვილი. წარმატებული FLEX-ელები დიდ მადლობას უხდებიან სკოლა „ოცნების“ თითოეულ თანამშრომელს, პედაგოგებს, რომლებიც ენერგიას არ იშურებენ და ეხმარებიან მომავალ თაობებს წარმატების მიღწევაში. ამ ადამიანებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს სხვადასხვა თაობის განათლებისა და პროფესიული თვისებების ჩამოყალიბების პროცესში. მოსწავლეების მიერ ყოველწლიურად მიღწეული წარმატებები სკოლა „ოცნების“ სწორ სამოქმედო გეგმასა და სწავლის პროცესისადმი კრეატიულ დამოკიდებულებას მიუთითებს – ამბობენ FLEX-ელები.

ირინა ცაავა წყალტუბოს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლის „ოცნება“ დირექტორი

კვლევა დასახარებად

შიდა საგნობრივი სოცლის ტრანსფერი

კლასიფიკაციის სისტემა -> კვების ტიპები -> ეკოსისტემა -> ეკოლოგიური ხაზგანხილვა

პედაგოგიურ მეცნიერებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცხოვრებაში საგნობრივი ცოდნის ტრანსფერს. თეორიისა და პრაქტიკის, სწავლისა და ცხოვრების კავშირის პრინციპი სწავლების ერთ-ერთი ძირითადი კანონია, სწავლებისადმი შემეცნებითი ინტერესის განვითარება და მისი მხარდაჭერა კი - სწავლების მაღალი ეფექტურობის აუცილებელი წინაპირობა. მასწავლებლის მიერ გადაცემული ცოდნის ცხოვრებასთან დაკავშირება ნიშნავს იმას, რომ მოსწავლეებმა შეძლონ თეორიული ცოდნის გამოყენება ცხოვრებისეულ რეალობაში. მასწავლებელმა ისე უნდა დაგეგმოს სწავლების პროცესი, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეებში თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების - ტრანსფერის უნარის გამოქვეყნებას, რადგან მოსწავლე მხოლოდ მაშინაა წარმატებული, თუ მას შეუძლია ერთგვარ სიტუაციაში ნასწავლის განსხვავებულ სიტუაციაში გამოყენება. გარკვეული უნარის დაუფლება მოსწავლეში კონკრეტული მინაარსის საფუძველზე ხდება. თუ მას უნარს მხოლოდ ერთი ტიპის შინაარსთან მიმართებით განვითარებთ და არ გავითვალისწინებთ, რომ ეს უნარი მოსწავლემ სხვა საკითხებთან მიმართებაშიც უნდა გამოიყენოს, მაშინ მას ტრანსფერის განხორციელება გაუჭირდება. სწორედ ამიტომ ენიჭება სწავლების პროცესს უდიდესი მნიშვნელობა. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ მოსწავლემ შეძლოს შექმნილი ცოდნის სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენება.

ბიოლოგიის, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შორის წამყვანი საგნის, შესწავლისას მრავალადაა თემები, სადაც აუცილებელია შიდა საგნობრივი ცოდნის ტრანსფერის განხორციელება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების ერთმანეთთან დაკავშირებას ეხება, როგორებიცაა: კლასიფიკაციის სისტემა, კვების ტიპები, ეკოსისტემა, „ეკოლოგიური ხაზგანხილვა“ - ორგანიზმის უნარი მატერიალური ოდენობით ტოქსიკური ნივთიერებების დაგროვებისა, რომელთა ხსნად მდგომარეობაში გადასვლა და კვებითი ქსელის საშუალებით გავრცელება ადამიანის ბუნებაზე მავნე ზემოქმედებას უკავშირდება. აღნიშნული საკითხები სკოლაში ესგ-ს მიხედვით გათვალისწინებულია სხვადასხვა საფეხურის დონეზე სწავლებით: დაწყებული საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საფუძველებით VII (ბუნ.VII.7.), როდესაც მოსწავლე ეცნობა კლასიფიკაციის სისტემას, მცენარეული, ცხოველური, ბაქტერიული უჯრედის ძირითად ნაწილებს, სიცოცხლის არაუჯრედული ფორმების ვირუსების აგებულებას. VIII კლასში სწავლობს კვების დანიშნულებას ტიპური ჰეტეროტროფული ორგანიზმის ადამიანის საჭმლის მომწოდებელი სისტემის მაგალითზე (ბიოლ.VIII.5). IX კლასის პროგრამით სიცოცხლის ნიშნების შესწავლისას მოსწავლე ეცნობა კვებას, როგორც ერთ-ერთ აუცილებელ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროცესს ორგანიზმის საშენი მასალით და ენერგიით მოსამარაგებლად (ბიოლ.IX.5). ესგ-ის შესაბამისად ასევე განხილულია ეკოსისტემა (ბიოლ.IX.8.ბიოლ.IX.9) და მისი წევრები: პროდუცენტი, კონსუმენტი, რედუცენტი. X კლასში შეისწავლება ჰეტეროტროფული კვების ტიპები, ფოტოსინთეზის პროცესი, როგორც პლანეტაზე სიცოცხლის არსებობის ძირითადი წყარო. (ბიოლ.X.7 ბიოლ.X.8). XI კლასში, საგნის პროგრამის დასასრულს, მოსწავლეს ხელახლა გაღრმავებული კურსით უწევს შეისწავლოს ეკოსისტემა და ეკოლოგიური ფაქტორები, ადამიანი და გარემო, ანთროპოგენური ფაქტორით გამოწვეული გლობალური ცვლილებები (ბიოლ.XI.8 ბიოლ.XI.9). ამ დროს მოსწავლეს ემზადება მთელი საგნობრივი ცოდნის შეჯამებისა და გამოლიანებისათვის, რაც, თავის მხრივ, გამოიხატება, როგორც საატესტატო, ასევე ეროვნული გამოცდით გათვალისწინებული საკითხების წარმატებით დაძლევა და ნასწავლის გადატანით ერთი თემიდან მეორეზე როგორც საგნის ფარგლებში, ისევე საგანთაშორისი კავშირების დამყარებისა და ცხოვრებისეულ რეალობაში გამოყენებისათვის. მოსწავლეს უჭირს ნასწავლი მასალის თავმოყრა, მით უმეტეს, თუ საკითხი ორგანიზმთა განაწილებას ეხება კვებითი ჯაჭვის სხვადასხვა საფეხურზე კვების ტიპის მიხედვით, აქვე თავს იჩენს პრობლემები, რომლებიც კლასიფიკაციის სისტემის ცოდნას უკავშირდება და, რაც მთავარია, მოსწავლემ არ იცის კვებითი ჯაჭვის რომელი რგოლი უნდა დაიკავოს მომხმარებლის თვალსაზრისით, გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან საკუთარი ორგანიზმის და მომავლის გადასარჩენად.

წარმოგადგენთ მოსწავლეთა ტიპურ შეცდომებს, რომლებიც გაანალიზებულია ჩემ მიერ საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების, პრობლემური საკითხების კვლევის საფუძველზე, რამაც გადამაწყვეტინა მომენტა საშუალება საგნის მნიშვნელოვანი თემების ერთმანეთთან დაკავშირებისა შიდასაგნობრივი ტრანსფერის სახით:

- მოსწავლეს უჭირს ორგანიზმთა ადგილის განსაზღვრა თანამედროვე კლასიფიკაციის სისტემაში და ეკოსისტემაში. ვერ ხვდება სად უნდა მოათავსოს სოკო, ბაქტერია, ვირუსი, უმარტივესები - თანამედროვე ერთჯრედიანები.
- უძნელდება ავტოტროფული და ჰეტეროტროფული კვების ტიპების დახასიათება;
- ფოტოტროფული კვების შემთხვევაში მოსწავლე თვლის, რომ მცენარის საკვებს წარმოადგენს წყალი და მინერალური მარილები;
- ბუნდოვანია მისი წარმოდგენა ქემოსინთეზის, როგორც ავტოტროფული კვების ტიპის შესახებ;
- ხშირად აიგივებს ერთმანეთთან მიქსოტროფებს და ნაირმჭამელებს;
- მოსწავლემ არ იცის, რომ ბაქტერიებში გვხვდება კვების ყველა ტიპი. მისთვის წარმოდგენილია, რომ შესაბამისი კვების ტიპის მიხედვით ბაქტერია შესაძლებელია კვებითი ჯაჭვის ნებისმიერ საფეხურზე განთავსდეს;
- სოკოს მოიაზრებს, როგორც მცენარეს, რის გამოც მას მიიჩნევს პროდუცენტად (მწარმოებლად), ხოლო მის მომხმარებელს I რიგის კონსუმენტად;
- არ იცის „ეკოლოგიური ხაზგანხილვის“ მნიშვნელობა, არ ესმის რატომ უნდა დაუახლოვდეს ეკოლოგიური პირამიდის საფუძველს - მწვანე მცენარეს, ორგანიზმში ნაკლები შხამის მოსახვედრად.


შიდა საგნობრივი ცოდნის ტრანსფერის განხორციელებისათვის აღნიშნულ პრობლემურ საკითხებთან მიმართებაში, გათვალისწინებულია კოგნიტურ სქემებს და დამხმარე საკითხებს, რომლის გამოყენებაც, IX (გამარტივებული სახით)-XI კლასების მოსწავლეებში, მასწავლებელს საშუალება აძლევს გაასვენოს მათ განვლილი მასალა, რათა შეძლონ საგნის ოთხი სხვადასხვა მნიშვნელოვანი თემის დაკავშირება ერთი გამოლიანებული, შეჯამებული სქემის სახით. საკითხები, რომლებზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება გაკვეთილზე შემდეგია:

- კვებითი ჯაჭვი - კვების პროცესში ნივთიერებების გადატანის თანამიმდევრობა ავტოტროფებიდან ჰეტეროტროფებზე ყოველთვის პროდუცენტიდან იწყება, რომელიც კვების ტიპის მიხედვით არის ავტოტროფი: ქემოტროფი ან ფოტოტროფი;
- ქემოსინთეზის შესახებ, რომლის დროსაც არაორგანულიდან ორგანული ნივთიერებების სინთეზისათვის გამოიყენება არა მზის, არამედ ქიმიური რეაქციის ენერჯია, რის შედეგად დედამიწის უდიდეს ღრმულებსა და მღვიმეებში არსებობს სიცოცხლე;
- ეკოსისტემაში პროდუცენტი - მწარმოებელი იკავებს I კვებით (ტროფიკულ) დონეს, I რიგის კონსუმენტი (მომხმარებელი) - II დონეს, II რიგის კონსუმენტი - III-ს და ა.შ.;
- ბაქტერიები (მონერები), პლანეტის უძველეს ორგანიზმებში, გვხვდება კვების ყველა ტიპი: ავტოტროფული, მიქსოტროფული და ჰეტეროტროფული კვების სამი სახეობა: სიმბიოზური, პარაზიტული, საპროფიტული. ამიტომ მათ ეკოსისტემაში კვებითი ჯაჭვის ნებისმიერი საფეხურის დაკავება შეუძლიათ;
- ეკოსისტემის წევრებს კონსუმენტსა (მომხმარებელი) და რედუცენტს (დამშლელი) საერთო აქვთ კვების ტიპი, კონსუმენტი არის ჰეტეროტროფული კვების ჰალოზოური, სიმბიოზური ან

პარაზიტული ტიპის განმარტოვებული, ხოლო რედუცენტი, მხოლოდ კვების საპროფიტული ტიპის, რის გამოც მათი როლი განუზომელია ბუნებაში მიმდინარე ლობოსა და მინერალიზაციის პროცესებში, რადგან დედამიწა ჩაკეტილი სისტემაა, მასში ახალი ნივთიერებები არსაიდან არ ხვდება, ამიტომ მუდმივად მიმდინარეობს ქიმიურ ელემენტთა ნრგბრუნვა ცოცხალსა და არაცოცხალს შორის, იკვრება ბიოგეოქიმიური ციკლი;

- სოკოების სამეფოს, როგორც მცენარეთა და ცხოველთა სამეფოს შორის გარდამავალი რგოლის, მათთან მსგავსება-განსხვავებების შესახებ, რომ სოკო ტიპური ჰეტეროტროფია, მას ახასიათებს კვების სიმბიოზური და პარაზიტული ტიპი, რის გამოც იგი ეკოსისტემაში დაიკავებს კონსუმენტის I, II, III რიგს და ა.შ., ხოლო საპროფიტული კვების შემთხვევაში: ობის და საფუარა სოკოები - რედუცენტების ადგილს;
- უმარტივესებს (პროტისტები), ბაქტერიების მსგავსად, კვების სხვადასხვა ტიპის განხორციელების გამო, შეუძლიათ ეკოსისტემის ნებისმიერ წევრად მოგვევლინონ, მათგან განსხვავებით ჰეტეროტროფული კვების ჰალოზოური ტიპის დამატებით;
- ვირუსის კვების ტიპი პარაზიტულია, ცოცხალია მხოლოდ მაშინ, თუ მოხვდება მცენარეულ, ცხოველურ ან ბაქტერიულ უჯრედში;
- კვებითი ჯაჭვები შეიძლება დეტრიტიდან (მკვდარი ორგანული ან ნაწილობრივ მინერალიზებული ნივთიერება) დაიწყოს;
- მიქსოტროფული (შერეული) კვების უძველესი ტიპის შესახებ. მისი თანამედროვე წარმომადგენლების არსებობა, რომლებსაც საჭიროებისამებრ კვების ავტო და ჰეტეროტროფული ტიპის განხორციელება შეუძლიათ, რაც მცენარეებსა და ცხოველებს შორის ოდესაც საერთო ნიშარის არსებობაზე მიუთითებს, არ შეიძლება მისი გაიგივება ნაირმჭამელებთან, რომლებიც, კვების ტიპის მიხედვით, მხოლოდ ჰეტეროტროფები არიან და ეკოსისტემაში ასრულებენ კონსუმენტების როლს;
- ყველა ცოცხალ ორგანიზმს აქვს უნარი დაიგროვოს ტოქსიკური ნივთიერებები (ტყვია, ნიკელი, კადმიუმი, ვერცხლისწყალი, დარიშხანი და ა.შ.), მათთვის დადგენილია მუტაგენური (გენების, ქრომოსომის სტრუქტურის ან რაოდენობის უცაბედი ცვლილება), კანცეროგენური (ინვეს ავთვისებიან სიმსივნეს) და ტერატოგენური (ემბრიოგენეზის პროცესის დარღვევა, რაც იწვევს ნაყოფის განვითარების ანომალიებს) მოქმედება. ისინი ძნელად იშლება, აკუმულირდება მასში, ეკოსისტემაში კვებითი კავშირების საშუალებით მომდევნო საფეხურს გადაეცემა, რასაც „ეკოლოგიური ხაზგანხილვა“ ეწოდება. კვებითი ჯაჭვის რაც უფრო მაღალ საფეხურზეა ორგანიზმი განთავსებული, მით უფრო მეტი მავნე ნივთიერება აქვს დაგროვილი. ადამიანი კვებითი ჯაჭვის უმაღლესი რგოლია. ჩვენი კვებითი რაციონიდან გამოდინარე, ძველი არ არის იმის წარმოდგენა, თუ რაოდენ მაღალია ორგანიზმში დაგროვილი ტოქსიკური ნივთიერებების კონცენტრაცია, რაც დამლუპველად მოქმედებს ჩვენს ჯანმრთელობასა და მომავალზე;
- მსოფლიოს მოსახლეობის და გარემოს დაბინძურების ზრდის ტემპის გათვალისწინებით, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე გაზრდილი მოთხოვნების და მისი სიმცირის შესაბამისად, ჩვენ (მასწავლებლები) ისევე და ისევე აქცენტი ვაკეთებთ მწვანე მცენარეზე, როგორც დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის საფუძველზე, მის მოვლა-გაფრთხილებასა და ძირითად საკვებად მოხმარებაზე, რადგან „ეკოლოგიური ხაზგანხილვის“ მოქმედების პრინციპის გათვალისწინებით, სხვა საკვებ პროდუქტებთან შედარებით, რომლებსაც კვებითი ჯაჭვის III, IV და მომდევნო ტროფიკული დონეებიდან მოვიხმართ, მასში მინიმალური რაოდენობის შხამია დაგროვილი.

წარმოგადგენთ კოგნიტურ სქემებს, რომლებსაც წარმატებით ვიყენებთ გაკვეთილზე, როგორც ინტერაქციულ სასწავლო რესურსს, სკაფოლდინგის (ხარაჩოს დადგმა) მიზნით, საპრეზენტაციო ფორმატში ჯგუფური მუშაობის დროს:



კვლევა და სასწავლო

ინფორმაცია

წინამუხრი რომ მოკლეს ილია

„გარდაცვალება არ ეთქმის მის სიკვდილს, ეს იყო ჯვარცმა და მსწრაფლამალღება. ეს იყო გარდასახვა თვითულ ქართველში, განხილვა და მასში ერის სიყვარულით აღდგომა.“

ილია მეორე სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი



12 სექტემბერს, აფხაზეთის განათლების და კულტურის სამინისტროს განათლების და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის სახელოვნებო განათლების განყოფილების ინიციატივით, აფხაზეთიდან დევნილმა მოსწავლე ახალგაზრდობამ, დიდი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის მიერ წმინდანად შერაცხული ილია მართლის (ჭავჭავაძის) დღე აღნიშნა და პატივი მიაგო მის ხსოვნას. მოზარდებმა ყვავილების გვირგვინით შეამკეს სასიქადაულო მამულიშვილისა და მისი მეუღლის, ოლღას საფლავები და წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია: „წინამურში რომ მოკლეს ილია“.

ლონისძიების მეორე დღეს, 13 სექტემბერს, ილია ჭავჭავაძის თბილისის მეგობრივ მუზეუმში ჩატარდა სასწავლო-საგანმანათლებლო თეორიული კონფერენცია: „საგურამოდან მთაწმინდამდე“; ნაჩვენები იქნა დოკუმენტური ფილმი – „ილია ჭავჭავაძის ფიზიკური მკვლელობის გიგლა ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესი“.


აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირის ნორჩმა დეკლამატორებმა: ანა შუბითიძემ, თამარ ფაცაცია, ელენე მიქაბაძე, დიმიტრი ფაცაცია, ირინა შენგელიამ, თამარ საბაურმა და სხვებმა წაკითხეს ილიას ლექსები: „ლოცვა“, „გაზაფხული“, „პოეტი“, „გუთნის-დედა“, „ბაზალეთის ტბა“ და სხვ. შესრულეს ილიას ლექსებზე შექმნილი სიმღერები.

ლონისძიების საპატიო სტუმრები იყვნენ: საქართველოს პარლამენტის დეპუტატი გია ვოლსკი, თბილისის საკრებულოს დეპუტატი – თამარ ტალიაშვილი, რიმა ბერაძე, წმ.ნიკოლოზის ეკლესიის წინამძღვარი მამა მაქსიმე ჭანტურია, საქართველოსა და აფხა-


ზეთის ინტელიგენციის წარმომადგენლები, პოეტები, მწერლები, აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების მშობლები.

აფხაზეთის განათლების და კულტურის სამინისტროს სახელით, მადლობას ვუხდით ილია ჭავჭავაძის მუზეუმის დირექტორს მზია ნადირაძეს, იმ დიდი სიბოძისთვის, სიყვარულისა და ყურადღებისთვის რასაც იგი აფხაზეთიდან დევნილი მოზარდების მიმართ იჩენს. იმედი გვაქვს, რომ მომავალშიც ვთანამშრომლებთ ჩვენი მომავალი თაობის საგანმანათლებლო-კულტურული პოზიტივების გასაფართოებლად.


წონა პარია
აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლების და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის სახელოვნებო განათლების განყოფილების თანამშრომელი



გთავაზობთ მოსწავლეების მიერ გაკვეთილზე ჯგუფური მუშაობის შედეგად მოცემულ თემების დაკავშირებისას განხორციელებული ტრანსფერის ორ ვარიანტს:



კლასიფიკაციის სისტემა



მასწავლებლის მიერ სწორად დაგეგმილი გაკვეთილი, საგნის მნიშვნელოვანი თემების ერთმანეთთან დაკავშირების კუთხით, ხელს უწყობს მოსწავლეში ტრანსფერის, როგორც ერთი საგნის ფარგლებში, ასევე საგანთაშორისი კავშირების დადგენის (გეო. XI.3) და ცხოვრებისეულ რეალობაში გამოყენების უნარის განვითარებას. სწავლების ძირითადი კანონი ხომ თეორიისა და პრაქტიკის, სწავლისა და ცხოვრების კავშირის პრინციპია.

შიდა საგნობრივი ტრანსფერის განხორციელება შემდეგი საკითხების გაერთიანებით – კლასიფიკაციის სისტემა → კვების ტიპები → ეკოსისტემა → ეკოლოგიური ხაფანგები – მოსწავლეს, ჩვენი პლანეტის სრულყოფილებიან წევრს, კიდევ ერთხელ აფიქრებს ანთროპოგენური (ადამიანის ზემოქმედება ბუნებაზე) ფაქტორით გამოწვეულ გლობალურ ცვლილებებზე, უმთავრესს გარემოს დაცვით უნარებს, რომელთა განვითარება საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების მთავარი მიზანია სკოლაში, რათა მან შეძლოს ემპირიული გზით სამყაროს აღქმა, მასში ადამიანის ადგილისა და მნიშვნელობის განსაზღვრა, „ეკოლოგიური ხაფანგების“ დამლუპველი ზემოქმედებისაგან თავის დაღწევა საკუთარი სიცოცხლისა და მომავლის გადასარჩენად.

სპორტი

მსოფლიო თბილისში შეიქრება

თბილისის ახალმა სპორტის სასახლემ წარმატებით უმასპინძლა მსოფლიო ჩემპიონატს ქაბუკ მოჭიდავეთა შორის, რომელიც ჩვენს დედაქალაქში წინა კვირაში ჩატარდა. ტურნირში მონაწილეობისთვის თბილისს მსოფლიოს 50 ქვეყნის დელეგაცია ესტუმრა, სტუმართა რაოდენობამ 800-ს გადააჭარბა. ეს ერთ-ერთი ყველაზე უფრო მასობრივი და სოლიდური შეჯიბრება იყო, რასაც წლეულს არა მხოლოდ ჩვენმა ქალაქმა, არამედ მთლიანად ქვეყანამ უმასპინძლა. თუმცა, სამართლიანობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ დიდი საერთაშორისო სპორტული ღონისძიებებით განებივრებული არ ვართ, მაგრამ წლევიანდელი წელიწადი, ამ მხრივ, ბედნიერი გამოიყვანა. ამ მხრივ, ბედნიერი გამოიყვანა იყო, რადგან დიდ ტურნირებს ვუმასპინძლეთ ძიუდოში, ძალსხმობაში, მძლეოს-

ნობაში (თან ყველას - უფროსთა შორის), ამათ გვერდით კი, ზემოაღნიშნული შეჯიბრება ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული აღმოჩნდა. ამ რანგის ტურნირების ასეთ დონეზე მასპინძლობა კარგი რეკლამაა ქვეყნისთვის. ჩემპიონატი სამივე საჭიდაო დისციპლინაში ჩატარდა, ანუ ბიჭების ორივე სტილსა და გოგონებში. საბედნიეროდ, კარგ ტურნირში ჩვენი სპორტსმენებიც კარგად გამოვიდნენ და, ჯამში, 5 მედალი მოიპოვეს - 3 ოქრო და 2 ბრინჯაო. აქედან 3 ვილდო (1 ოქრო და 2 ბრინჯაო) თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მონაგარია, ბერძენ-რომაელებმა კი ორი ოქრო დაიმსახურეს. ალბათ, ცოტა დასანანია, რომ მედლების რაოდენობა მეტი არაა. მით უმეტეს, დიდი მანძილზე იყო და რამდენიმე ჩვენებური მეხუთე ად-

გილზეც გავიდა, მაგრამ ამ დონის შეჯიბრებაში 3 ოქრო ცოტა ნამდვილად არაა. ბერძენ-რომაელთაგან ჩემპიონები ლანჩხუთელი გიორგი შოთაძე (50) და ხულოელი ლერი აბულაძე (54) გახდნენ. ორივემ ძალიან მაღალი დონის ჭიდაობა აჩვენა და ერთიმეორეზე უკეთესი სანახაობა შემოგვთავაზეს. თუმცა სულ სხვადასხვა სტილით იასპარეზა, ანუ ჩანდა მწვრთნელების ხელი - შოთაძის მოქმედებას უფრო გააზრებული ტაქტიკა ეტყობოდა, უფრო ჭკუით ირჯებოდა, აბულაძე კი ჩინებულ ფიზიკურ მომზადებას მშვენივრად იყენებდა და ძალისმიერი ილეთებით ანადგურებდა მეტოქეებს. მათ გამოსვლაში თანაბრად იგრძნობოდა სიძლიერე და დამაჯერებლობა; ჩანდა, რომ რეზერვი ჰქონდათ და შესაძლებლობების ზღვარზე არ მუშაობდნენ. ფინალში აბულაძეს თითქოს ცოტა გაუჭირდა თურქ კერემ კამალთან, თუმცა მანამ ისეთი ჭიდაობა აჩვენა, თქვენი მოწონებული. შეიძლება ითქვას, ფინალამდე გადაუარა ყველას და ყველაფერს, „შეუჩერებელი მანქანა“ იყო, რომელმაც ოთხი შეხვედრის მოგებას 2 წუთზე ოდნავ მეტი, ანუ ნახევარი პერიოდის სამყოფი დრო მოაწოდებდა. 1 წუთი მას მხოლოდ პირველმა მეტოქემ გაუძლო, სხვებს კი 25-35 წამში უგებდა სუფთად, რამდენიმე თავით მაღლა იდგა სხვებზე. ერთი შეხედვით, თითქოს ერთფეროვნად, სწორხაზოვნად ჭიდაობდა - მეტოქე ჩოქბჯენში ჩაჰყავდა, იქ კი ორივე მხარეს ერთნაირი წარმატებით ატრიალებდა, თუმცა ამას იმდენად ძლიერად აკეთებდა, მისი ცქერა ერთ რამდენ ღირდა. ამასთან, დაბლა ჩასაყვანად სხვადასხვა ხერხს იყენებდა, ანუ არსენალი ჰქონდა, შეზღუდული არ იყო. მან სწორედ იმ კომპონენტში იჭიდავა ჩინებულად, რაც ეროვნული ნაკრებისთვისაც კი „აქტიულის ქუსლია“ - ჩოქბჯენში. შოთაძემაც და აბულაძემაც დაამტკიცეს, რომ სანახაობრივად გალარობებულ ამ ჭიდაობაშიც თავისუფლად შეიძლება ილეთების გაკეთება და მისთვის ადრინდელი სილამაზის დაბრუნება.

როგორც გითხარით, შოთაძემ უფრო გონივრული ჭიდაობით დაგვამახსოვრა თავი. ამის ყველაზე ნათელი მაგალითი ფინალური ორთაბრძოლა იყო რუს ანზორ კარაგულიოვთან, რომელიც თავიდან ორჯერ მარტივად გაიყვანა წრიდან და 2:0 დანინაურდა. თუმცა არ იფიქროთ, ილეთების გაკეთება უჭირდეს. უბრალოდ, ფინალში არ გარისკა და წარმატებისთვის იოლი გზა აირჩია, თორემ როცა მომენტი ჩაუვარდა, მშვენიერი ილეთიც გააკეთა. აღსანიშნავია, რომ შოთაძე, წლეულს, ევროპის ჩემპიონიც გახდა, ანუ დუბლი შეასრულა, აბულაძე კი ევროპაზე მესამეზე გავიდა, თუმცა მანამ 58 კილოგრამში იჭიდავა. საინტერესოა, რომ მისი ძმა - **ოთარ აბულაძე**ც ნაკრების კანდიდატია, ხოლო ძმებს მამა, **ავთანდილ აბულაძე** ავარჯიშებს. ის რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსან **შმაგი აბულაძის** (66) პირველი მწვრთნელია. თავისუფალი სტილის მოჭიდავეთაგან მსოფლიოს ჩემპიონი ონელი მირიან მაისურაძე (76) გახდა, კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე გორელი გიორგი გეგელაშვილი (42) და ბათუმელი თორნიკე ქათამაძე (50) ავიდნენ. მაისურაძეს მსოფლიო ჩემპიონი გიორგი გოგშელიძე ავარჯიშებს და ჩემპიონატი მანაც ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარა, მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა. ფინალში მაისურაძემ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა რუსი კამილ აბდულჯამალოვი. აქ გარდამავალი უპირატესობა იყო, თუმცა საბოლოოდ მაინც მასპინძელმა იმარჯვა, როცა ბოლო წამებზე მეტოქე ჰაერში აიტაცა და ისე დაანარცხა ხალიჩას - 11:9.



გუნდური გამარჯვება

16-18 სექტემბერს, ესპანურ მალაგაში, ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის პირად-გუნდური ჩემპიონატი გაიმართა, რომელშიც ჩვენები მთლად წარმატებით ვერ გამოვიდნენ: პირად პირველობაში გოგონები უმედლოდ დარჩნენ, ბიჭებმა კი მხოლოდ ორი ვერცხლი ირგუნეს. არადა, პოტენციური ნამდვილად მეტი აქვთ. ევროპის ვიცე-ჩემპიონები **თორნიკე ნაგლიაშვილი** (66) და **გიორგი კაციაშვილი** (73) გახდნენ. სამაგიეროდ, ბიჭების ნაკრები მშვენივრად გამოვიდა გუნდურ პირველობაში და ჩემპიონობა არავის დაუთმო. აღსანიშნავია, რომ ისინი ზედიზედ მეორედ გახდნენ ევროპის ჩემპიონები. პირველ შეხვედრაში მათ რუმინეთი 5:0 გაანადგურეს, მეორეში კი ავს-

ტრიას 4:1 აჯობეს. ნახევარფინალში რუსებთან 3:0 დანინაურდნენ და მხოლოდ ბოლო ორი, არაფრისმომცემი პაექრობა დათმეს, ფინალში კი, ძალიან დაძაბულ შეხვედრაში, 3:2 აჯობეს აზერბაიჯანს. ეს შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და, 4 ორთაბრძოლის შემდეგ, ანგარიში 2:2 იყო. ყველაფერი მიიმუხროსანთა შერკინებას უნდა გადაეწყვიტა, სადაც ჩვენმა ფალავანმა **ჯაბა მუმლაძემ** უპრობლემოდ იმარჯვა იპონით და ჩემპიონობაც მოგვიტანა. რა თქმა უნდა, გუნდური გამარჯვებაც ძალიან კარგია, თუმცა პირადში ბევრად მეტს ველოდით და ჩვენებმა ვერ დატოვეს კარგი შთაბეჭდილება. არადა, ძალიან კარგი თაობაა და საცოდა-

ობაა, მათი ნიჭი უკვალოდ დაიკარგოს. ამ შემადგენლობისგან ჯერ ორი მედალია ძალზე ცოტა და ისიც ოქროს გარეშე - მით უფრო! აბა, ჩემპიონატის დაწყებამდე ვინ იფიქრებდა, რომ მედლის გარეშე დარჩებოდნენ ისეთი ტალანტები, როგორიც **რობინ-ზონ ბეგლარაშვილი** (60), **ონისე სანებლიძე** (90) და **თამაზ კირაკოზაშვილი** (81) არიან. მართალია, პირველი ორი ახალი ვადმოსულია ქაბუკთა ნაკრებიდან და ადაპტაცია სჭირდებათ (მით უფრო, ქაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის გაცილებით დიდი სხვაობაა, ვიდრე - ახალგაზრდებსა და უფროსებს შორის), მაგრამ მათი ნიჭი მეტი ოპტიმიზმის იმედს გვაძლევდა. თუმცა, ამათ სანუგეშო წრემდე მაინც მიადანეეს, კირაკოზაშვილი კი სულ მთლად ჯგუფურ ეტაპზე ჩაიკარგა. არადა, მისი ნიჭი ათმაგად ცოდვდა ასე დასაკარგავად. ასევე გაცილებით მეტს ველოდით მსოფლიოს შარშანდელ პრიზიორ **ირაკლი კუპატაძისგან** (55), ვისთვისაც დიდი ნუგეში არ უნდა იყოს დამამშვიდებლის ფინალში გასვლა და მეხუთეზე დარჩენა. საჭიდაო ხარისხიდან გამომდინარე, გაცილებით უკეთესის სურვილს ტოვებდა თვით მედალოსანთა გამოსვლაც, განსაკუთრებით - ფინალში და განსაკუთრებით კაციაშვილის შემთხვევაში...



გოგონებიდან მედლისთვის მხოლოდ ახალგაზრდებში მსოფლიოს შარშანდელმა ფინალისტმა **მარიამ ჯანაშვილმა** (52) გაიბრძოლა და ნახევარფინალშიც გავიდა, მაგრამ მერე ზედიზედ ორჯერ დამარცხდა და მეხუთეზე დარჩა. იმედია, მწვრთნელები დაშვებულ შეცდომებს გააანალიზებენ და მომავალში მეტი წარმატებით ვიასპარეზებთ.

ძალსხმობის ტრიუმფი

პოლონურ ნოვი ტომისლოში მიმდინარე ძალსხმობის ევროპის ჩემპიონატში, რომელიც 15 და 17-ნომადელთა შორის ტარდება, წარმატებით გამოვიდა საქართველოს ნაკრები. პირველი ორი დღის შემდეგ ჩვენებს 6 მედალი ჰქონდათ. მათ შორის - ორი ვერცხლი ორჭიდში, ანუ ევროპის ორი ვიცე-ჩემპიონი ჰყავდათ, რაზეც ჩვენი გაზეთიც წერდა. მას შემდეგ ჩვენებმა კიდევ უფრო მეტი წარმატებით იასპარეზეს, აქტივს 9 მედალი შეჰმატეს და 15 მედლით დაასრულეს გამოსვლა. შედარებისთვის - შარშან ანალოგიურ ტურნირზე 8 მედალი ჰქონდათ. საბედნიეროდ, ახლანდელ ვილდოებში ევროპის ჩემპიონის ოქროც გამოერია, ანუ ორჭიდშიც მოვიპოვეთ, თორემ ცალკეულ მოძრაობებში სხვაც გვაქვს. ხარისხობრივად ეს მედლები ზუსტად თანაბრადაა განაწილებული: 5 ოქრო, 5 ვერცხლი და 5 ბრინჯაო. ორჭიდში კონტინენტის ჩემპიონი, 17-წლიანთა შორის, **ირაკლი ჩხეიძე** გახდა 94 კილოგრამ წონით კატეგორიაში, მან ასევე მოიგო შეჯიბრებები ატაცსა (150კგ) და აკვრაში (182კგ), თუმცა აქ პოლონელ მეტოქეს მხოლოდ პირადი წონით გაუსწრო. ორჭიდში 332 კილოგრამი დააგროვა. 15-წლამდელთა შორის +94-ში **თორნიკე ტაბატაძემ** ატაცში, 134 კილოგრამით, ვერცხლი მოიპოვა (ამჯერად, უკვე ეს ჩამორჩა პირადი წონით კონკურენტს), აკვრაში კი ორი ცდა გააფუჭა და მხოლოდ პირველად დაძლიერდა 145კგ-ს დასჯერდა, ამის მიუხედავად, ორჭიდში ვერცხლი მაინც ირგუნა 279კგ-ით. 15-წლიანებში სამი მედალი - ოქრო ატაცში (111კგ) და ბრინჯაო აკვრაში (133კგ) დაიმსახურა **ედუარდ კაკაბაძემ**, ვინც ორჭიდშიც მესამე იყო 244კგ-ით. 17-წლიანებში ატაცში მესამე იყო **ნოდარ კაკაბაძეც**. ერთ თვეში ამ ასაკის ძალსხმობის მსოფლიო ჩემპიონატი ელოდებოდა, თუმცა, მწვრთნელი **ზურაბ ანთაური** იქ მხოლოდ ორი სპორტსმენით აპირებს წასვლას.



რუბრიკა მოამზადა ირაკლი თაბატაძემ



მიმდინარეობს ხელმოწერა

შეავსეთ სკოლის ბიბლიოთეკა

ქართული მწერლების ნაწარმოებებით

ვაჟა-ფშაველა (10-ტომიანი)

I-VI ტომი - 11 ლარი

მინაილ ჯავახიშვილი (7-ტომიანი)

I-VII ტომი - 12 ლარი

ედიშერ ღივიანი (2-ტომიანი)

I-II ტომი - 15 ლარი

კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომიანი)

I, VI, VII, VIII, IX, X ტომი - 16 ლარი,

II, IV-V ტომი - 18 ლარი

რევაზ ინანიშვილი (6-ტომიანი)

I-VI ტომი - 14 ლარი

ვასტანო ჭელიძე (9-ტომიანი)

I-VII ტომი - 12 ლარი

ბრიგოლ აბაშიძე (6-ტომიანი)

I-V ტომი - 12 ლარი

ოტიბა იოსელიანი (10-ტომიანი)

I, III, IV, V, VI, IX, X ტომი - 12 ლარი

თამაზ ჭილაძე (6-ტომიანი)

I-VI ტომი - 10 ლარი

გოდერძი ჩოხელი (5-ტომიანი)

I-V ტომი - 14 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

თემატური კლასიკები

დაწყებითი კლასებისთვის

(42X59.4 სმ)

- 1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. ბარბელის ცხოველები
5. ბარბელის ფრინველები
6. პრეზენტაციები
7. შინაური ცხოველები და ფრინველები
8. პიტიონის ნივთები
9. საოჯახო ნივთები
10. ტრანსპორტი
11. ზღვის ბინადრები
12. ტანსაცმელი
13. სილი
14. გოსტეული
15. ჩემი სკოლა
16. ფორმები
17. რიცხვები
18. რის შვილს რა ჰქვია
19. მწერები
20. ამინდი
21. მცენარეები
22. საპირისპირო ცნებები
23. ქალაქი
24. სოფელი
25. სპორტის სახეობები
26. ზღაპრის გმირები
27. ჩემი საპარტველო
28. ქართული ანბანი
29. ინგლისური ანბანი
30. რომელი საათია

ფასი - 2.90 ლარი

მალალი კლასებისთვის

(59.4X84.1 სმ)

- 1. რელიგიების წარმოშობა
2. ბარბელის ფრინველები საპარტველოში
3. ბარბელის ცხოველები საპარტველოში
4. მწერები
5. ძველმეცნიერების საპარტველოში
6. საპარტველო მცენარეები
7. სამედიცინო წარმოშობა
8. ნივთები - სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ზღვის დინეები
11. ძირითადი ელემენტების პერიოდული სისტემა
12. ქართული მითების შვირსაღება და საბრძოლო ტექნიკა
13. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ფასი - 4 ლარი

მითითებულია ერთი ტომის ფასი



წიგნი I
კველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომარტელი

მითითებული კრებულის ფასი - 12 ლარი




საგარეო რეაქციები
ქართული მწერლობის
მეცნიერების
მეცნიერების

10 ლარი

საყვანელი ენციკლოპედია

თითო ტომის ფასი - 12 ლარი

- ავტომობილი
სამგზო
უდაბნო
გამგზობები
ბანკის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ქველი ეგვიპტე
ევიროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ახსნილი და აუხსნელი
ფენომენები
კომპიუტერი და ციფრული
უკველესი ადამიანები
მათემატიკა
ქველი რომი
ქველი საბერძნეთი



რა არის რა

გთავაზობთ 10 ტომს
ენციკლოპედიის სერიის „რა არის რა“
საყვანელი ფასად.

თითო ტომს, 12 ლარს ნაცვად, 9 ლარად მიიღებს.



ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ
რეკვიზიტებზე:
მიმღები - შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შურაღებაზე ფიზიკურმა პირებმა, თანხის
გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

მსოფლიო კლასიკები

მკვლარი სახლის ჩანაწერები,
თელურა დოსტოვესკი
ცოცხალი სკოლა, ანდრე ჟიდი
გზა ელიტიზმს, ჯონ ბრაინი
რეალური მოთხრობები,
ნიკოლოზ გოგოლი
ტალღები მოგზაური,
ალექსანდრე ბრინი
ტკობა,
გაბრიელა დანდინო
დედაჩემი, ალბერტ კომენი
პეპსია,
ალექსანდრე დიუმა
დონ კისეტის დაბრუნება,
გილბერტ კით ჩესტერტონი
დროის ინსტიტუტი,
ავიდე პეიჯი ტანტინარი
ფიი ბრინტი,
თეოდორ ფონტანე
ილინი ვინეტი,
პრესტიჟი მერიკა
პეპსიაური მოთხრობები,
ლევ ტოლსტოი
კვარტალი, გინ რიდი
ლუკა ჯიდი,
ჯოჯო კონრადი
გადაგ გოგარი,
გუსტავ ფლოგერი
სპარსული წერილები,
ზარლ ლუი დე მონტესკიე
მოუთხრობები გულის,
შტეფან ცვაიგი
მოწყობილობა,
ალბერტო მორავია
ორი რომანი,
გიგელ დელიგანი
პერიოდის მითხრობის
ტაბატი, ვიქტორ ჰიუგო
მოთხრობები,
ალექსანდრე პუშკინი
რეალური მოთხრობები,
ჯონ გოლდსთორტი
სატანის ელემენტები,
ერნსტ ჰოფმანი
სამხარული ჩრდილოეთი
ჩინეთიდან,
მარგარიტ დიურასი
ძალთა გენდერება,
ვილ ჯოლა
დამოუკიდებელი,
რაფაელ საბათინი
წითელი და შავი, სტენდალი
ტრეპი საბურთალო,
სოფიანტა მოვი
ჯაშუხი, ჯიმი კუპერი
ლინტინგბანი,
ვილჰელმ ჰაუფი
უშარი სახურავი,
ჟან ჟირო

მწერალთა კორტრეტები

- 1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. მიორტი ლონიკი
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე აბაბაძე
10. გურამ რეაქციები
11. დავით გურამიშვილი
12. გენიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვასტანო VI
16. მიორტი მირაზი
17. ბრიგოლ ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი
4 ლარი
რეკვირუბები
1. ჰორაციუსის ფიცი,
შაკ-ლუი დავიდი
2. მწერების
თამარისცემა,
დომენიკო გირლანდანი
3. ადელ ზღუბ-გაუპის
პორტრეტი, გუსტავ
კლიგი
4. მინიანი,
დიეგო ველასკეი
5. დელფინი სილია,
მიქელანჯელო
6. მსახივრის გადი,
კლოდ მონე
7. უკვლევი ფიცი
დაბრუნება, რეგინალდი
8. სახანა,
ოგიუსტ რენუარი
9. საკვირულო გასივრება
გრან შატის კუჩუკი,
ჟორჟ სიორა
6.5 ლარი

მითითებული ფასი - 15 ლარი

საბავშვო სახარაელები!

მომზადებით

საბავშვო სახარაელების



ქართული საბავშვო სახარაელები მათთვისაა, ვინც უნდა იცნოს ქართული საბავშვო სახარაელების მნიშვნელობა. ეს კომპლექსი შეიცავს საბავშვო სახარაელების მათთვისაა, ვინც უნდა იცნოს ქართული საბავშვო სახარაელების მნიშვნელობა.

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კომპლექსი შეიცავს მთლიანად ერთ სახარაელებს. ქართული საბავშვო სახარაელების მნიშვნელობა იცნოს ქართული საბავშვო სახარაელების მნიშვნელობა.

კრებულის ფასი – 9.90ლ



სერიის ფასი – 17.70ლ



ქართული ენის

ერთი სახარაელები მათთვისაა, ვინც უნდა იცნოს ქართული ენის მნიშვნელობა.

ნაშრომი და მომხილველი

სერიის „ნაშრომი და მომხილველი“ შეიცავს I-VI კლასების მოსწავლეებისთვის, „მითხარის სათის“ საბავშვო სახარაელების მათთვისაა, ვინც უნდა იცნოს ქართული ენის მნიშვნელობა.

სერიის ფასი – 30.40ლ




მასწავლებლის ბიბლიოთეკა

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

ნიშნები თავმოყრილია დაწყებითი კლასებისთვის აქტუალური სახარაელების მათთვისაა, ვინც უნდა იცნოს ქართული ენის მნიშვნელობა.

6.50 ლარი

მასწავლებლის საშუალო რვეული



მასწავლებლის საშუალო რვეული ვორტფოლიოს გამომცემელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებლებს:

1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

კათედრის გაგების ვორტფოლიო



კათედრის გაგების ვორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გაგების ადრინცესოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გაგებით განსაზღვრული საჭიროებები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხლომის მომზადების გარდა, ვორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს ვორტფოლიოს წარმოებაში და მისი საჭიროების განსწავლვაში.

6 ლარი


ინტერაქტიური მეთოდების კრებული



კრებულში აღწერილია ინტერაქტიური სწავლების მეთოდები; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნდა იყოს ავითარება თითოეული მეთოდის; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი



2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებლებს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია დაგეგმოს და ჩინიშნოს მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირულად აწვდის მასწავლებლებს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, პედაგოგიურ რეკომენდაციებს თუ საჭირო ინფორმაციას.

კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეკომენდაციები და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებლებს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეთ განთავსებული.

5.50 ლარი

შეკენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტაბულაშვილის ძ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ გ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.

ISSN 2233-386X



9 772233 386008 >